

ბრძანება №9

2018 წლის 26 ივნისი
ქ. თბილისი

**არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის
დამტკიცების შესახებ**

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

დამტკიცდეს:

ა) „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ფინანსური ანგარიშგების სტანდარტი“ (დანართი №1);

ბ) „ფინანსური ანგარიშგების კომპონენტების ნიმუშები“ (დანართი №2).

მუხლი 2

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ბუღალტრული აღრიცხვის დროებითი სტანდარტისა და ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმის სტრუქტურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პარლამენტთან არსებული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომისიის 2005 წლის 5 აპრილის №10 დადგენილება.

მუხლი 3

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2018 წლის 1 იანვარს ან შემდგომ დაწყებულ საანგარიშგებო პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ბუღალტრული აღრიცხვის,
ანგარიშგებისა და აუდიტის
ზედამხედველობის სამსახურის
უფროსი

იური დოლიძე

დანართი №1

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ფინანსური ანგარიშგების სტანდარტი

შესავალი

წინამდებარე სტანდარტი შემუშავებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის საფუძველზე რეგისტრირებული იმ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების საქმიანობის ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელთა მიზანიც არ არის სამეწარმეო საქმიანობა. არასამეწარმეო იურიდიული პირები, რომლებიც თავიანთ ძირითად საქმიანობასთან ერთად ეწევიან დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობას, ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს ამ სტანდარტთან ერთად იყენებენ სამეწარმეო საქმიანობისათვის განკუთვნილ სტანდარტებს (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი ან მეოთხე კატეგორიის საწარმოებისათვის დადგენილი ფინანსური ანგარიშგების სტანდარტი).

არასამეწარმეო იურიდიული პირის ფინანსური ანგარიშგების სტანდარტი მომზადებულია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე. სტანდარტის შემუშავებისას გათვალისწინებული იყო საქართველოს კერძო სექტორში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების სფეროში არსებული გამოცდილება და არასამთავრობო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო პრაქტიკა.

არასამეწარმეო იურიდიული პირის ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის გამოყენების საფუძველია საქარ-



თველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“.

სტანდარტი შემუშავებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურში და გამოსაყენებლად დამტკიცებულია ამავე სამსახურის მიერ.

თუ წინამდებარე სტანდარტი არ ფარავს არასამეწარმეო იურიდიული პირის მოთხოვნას კონკრეტული სააღრიცხვო ობიექტის მიმართ, მაშინ გამოყენებული უნდა იქნეს მეოთხე კატეგორიის საწარმოებისათვის დადგენილი ფინანსური ანგარიშგების სტანდარტი, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (IFRS for SMEs) ან ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (IFRS).

თუ წინამდებარე სტანდარტები კონკრეტულად არ ეხება რომელიმე სამეურნეო მოვლენას (მაგ., ოპერაციას, მოვლენას ან გარემოებას), ა(ა)იპ-ის ხელმძღვანელობამ უნდა იმსჯელოს და თვითონ შეიმუშაოს და გამოიყენოს ისეთი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომლის საფუძველზე მიღებული ინფორმაცია:

- (ა) სამართლიანად ასახავს სამეურნეო მოვლენას;
- (ბ) გამოხატავს მის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას; და
- (გ) წინდახედულია.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირებს უფლება აქვთ ამ სტანდარტის ნაცვლად გამოიყენონ მეოთხე კატეგორიის საწარმოებისათვის დადგენილი ფინანსური ანგარიშგების სტანდარტი, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (IFRS for SMEs) ან ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (IFRS). ასეთ შემთხვევაში არასამეწარმეო იურიდიულმა პირმა ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში უნდა მიუთითოს, რომ ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ზემოაღნიშნული სტანდარტების საფუძველზე.

წინამდებარე სტანდარტში შენარჩუნებულია ფასს-ით გათვალისწინებული ძირითადი დაშვებები და პრინციპები, ასევე აღიარებისა და შეფასების მეთოდები.

ტერმინთა განმარტება

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის (შემდგომ – ა(ა)იპ) ფინანსური ანგარიშგების სტანდარტში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა(ა)იპ წინამდებარე სტანდარტში გულისხმობს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს, რომელიც საწარმოსაგან გამოირჩევა შემდეგი ნიშნებით:

- ა) არსებითი რესურსების შეტანა რესურსების მომწოდებლებისაგან, რომლებიც არ ელოდებიან თანაზომად ან პროპორციულ ფინანსურ უკუგებას;
- ბ) საოპერაციო მიზანი სხვაა, ვიდრე საქონლითა და მომსახურებით მოგების მიღება;
- გ) არ ახასიათებს სამეწარმეო საქმიანობის მსგავსი საკუთრებიდან სარგებელი.

აქტივი არის რესურსი, რომელსაც ა(ა)იპ აკონტროლებს წარსულში მომხდარი მოვლენების შედეგად და რის საფუძველზეც ა(ა)იპ მომავალში მოელის ეკონომიკური სარგებლის მიღებას;

აქტივებთან დაკავშირებული გრანტები არის გრძელვადიანი აქტივების შექმნის, შექმნის, აშენების ან რაიმე სხვა გზით მოზიდვის მიზნით ა(ა)იპ-ზე გაცემული გრანტი. იგი შესაძლოა ითვალისწინებდეს დამატებით პირობებს, რომლებიც განსაზღვრავს აქტივის სახეობას, განლაგებას, მათი შექმნის ან ფლობის პერიოდს.

აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება პერიოდით, რომლის განმავლობაში მოსალოდნელია ა(ა)იპ-ის მიერ აქტივის გამოყენება.

აქტივის ცვეთადი ღირებულება არის აქტივის თვითღირებულება, ან ფინანსურ ანგარიშგებაში აქტივის ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული სხვა თანხა, ნარჩენი ღირებულების გამოკლებით.



განსაკუთრებული საწევრო შენატანი არის ა(ა)იპ-ის წევრის მიერ თავისი საწევრო ვალდებულების შესასრულებლად ა(ა)იპ-ში განხორციელებული ერთჯერადი შენატანი, რომელიც ა(ა)იპ-ის წევრს ანიჭებს მუდმივი წევრობის უფლებას, შემდგომი საწევრო ვალდებულების გარეშე.

გასაცვლელი სავალუტო კურსი არის თანაფარდობა, რომლის მიხედვითაც ორი სხვადასხვა ვალუტა ერთმანეთზე იცვლება.

დონორისმიერი შეზღუდვა არის დონორთან შეთანხმება, რომელიც განსაზღვრავს დონორის მიერ შეწირული (ნაჩუქარი) აქტივის გამოყენებას. ა(ა)იპ-ისათვის შეწირული აქტივების გამოყენებაზე შეზღუდვა შეიძლება დროებითი ან მუდმივი იყოს.

დროებითი შეზღუდვა არის დონორისმიერი შეზღუდვა, რომელიც ა(ა)იპს უფლებას აძლევს დახარჯოს ან ამოწუროს შეწირული აქტივი, როგორც დადგენილია შეზღუდვით და დაკმაყოფილებულია ან დროის მსვლელობით ან ა(ა)იპ-ის მოქმედებით.

დროებით შეზღუდული ფონდი წარმოადგენს ა(ა)იპ-ის ფონდების ნაწილს, რომელიც შექმნილია:

ა) აქტივების შენატანებით და სხვა წყაროებით, რომელთა გამოყენება ა(ა)იპ-ს განსაზღვრული აქვს დონორის მიერ დაწესებული შეზღუდვით, რომელიც იწურება დროთა განმავლობაში ან შეიძლება სხვაგვარად შესრულდეს ან გაუქმდეს ა(ა)იპ-ის ქმედებით ამ შეთანხმების საფუძველზე;

ბ) აქტივის სხვაგვარი გაფართოებით ან შემცირებით, რომელიც ექვემდებარება ზემოაღნიშნულ შეთანხმებას; და

გ) ფონდების რეკლასიფიკაციით, რომელიც განხორციელებულია დონორთან დადებული შეთანხმებით, მისი ან ვადის გასვლის, ან შესრულების, ან ა(ა)იპ-ის ქმედებით ამავე შეთანხმების გაუქმების საფუძველზე.

ვალდებულება არის ა(ა)იპ-ის მიმდინარე მოვალეობა, რომელიც წარმოიქმნა წარსული მოვლენების შედეგად და რომლის დასაფარად მოსალოდნელია ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა.

თვითღირებულება არის აქტივის შესაძენად გადახდილი ფულადი სახსრების ან მათი ეკვივალენტების ოდენობა ან მისი წარმოების, ან შესყიდვისას გაცემული ნებისმიერი კომპენსაციის რეალური ღირებულება.

იჯარა არის ხელშეკრულება, ან ხელშეკრულების ნაწილი, რომლის თანახმად სხვა მხარეს გადაეცემა აქტივის (საიჯარო აქტივის) გამოყენების უფლება გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ.

მარაგები არის ისეთი აქტივები, რომლებიც:

ა) გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში;

ბ) მონაწილეობს ამგვარი გაყიდვისათვის გამიზნული მარაგის წარმოების პროცესში;

გ) წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომლებიც განკუთვნილია საწესდებო მიზნების განსახორციელებლად.

მუდმივი შეზღუდვა არის დონორისმიერი შეზღუდვა, რომელიც ითვალისწინებს რესურსის მუდმივად შენარჩუნებას, მაგრამ ა(ა)იპ-ს ნებას აძლევს დახარჯოს ან გამოლიოს შეწირული აქტივიდან მიღებული შემოსავლის ნაწილი ან მთელი შემოსავალი.

მუდმივად შეზღუდული ფონდი წარმოადგენს ა(ა)იპ-ის ფონდების ნაწილს, რომელიც შექმნილია:

ა) აქტივების შენატანებით და სხვა წყაროებით, რომელთა გამოყენება ა(ა)იპ-ს განსაზღვრული აქვს დონორის მიერ დაწესებული შეზღუდვით, რომელიც არ იწურება დროთა განმავლობაში, ასევე ა(ა)იპ-ის მიერ არ შეიძლება სხვაგვარად შესრულდეს ან გაუქმდეს;

ბ) აქტივის სხვაგვარი გაფართოებით ან შემცირებით, რომელიც ექვემდებარება ზემოაღნიშნულ შეთანხმებას; და

გ) ფონდების რეკლასიფიკაციით, რომელიც განხორციელებულია დონორთან დადებული შეთანხმებით.



ნარჩენი ღირებულება არის შეფასებითი თანხა, რომელსაც ა(ა)იპ ამჟამად მიიღებდა აქტივის გაყიდვიდან, გაყიდვისათვის საჭირო შეფასებული დანახარჯების გამოკლებით, თუ აქტივს უკვე ექნებოდა მისი სასარგებლო მომსახურების ვადის ბოლოს მოსალოდნელი ასაკი და მდგომარეობა.

რეალური ღირებულება არის ფასი, რომელიც მიღებული ან გადახდილი იქნება აქტივის გაყიდვიდან ან ვალდებულების გადაცემისას, ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების თარიღისთვის ნებაყოფლობით განხორციელებული ოპერაციის დროს.

საანგარიშგებო ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა (ლარი), რომელიც გამოიყენება ა(ა)იპ-ის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისათვის.

საადრიცხვო პოლიტიკა არის განსაზღვრული პრინციპების, საფუძვლების, დაშვებების, წესებისა და პრაქტიკული მეთოდების ერთობლიობა, რომლებიც გამოიყენება ა(ა)იპ-ის ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს.

საბალანსო ღირებულება არის თანხა, რომლითაც აქტივი ასახულია ბალანსში დაგროვილი ცვეთის თანხის გამოკლების შემდეგ.

საბოლოო სავალუტო კურსი არის ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის არსებული გასაცვლელი სავალუტო კურსი.

საინვესტიციო საქმიანობა არის გრძელვადიანი აქტივებისა და იმ სხვა ინვესტიციათა შექმნა და რეალიზაცია, რომლებსაც არ მოიცავს ფულადი სახსრების ეკვივალენტები.

საკურსო სხვაობა არის სხვაობა, რომელიც წარმოიშობა ერთი და იმავე რაოდენობის უცხოური სავალუტო ერთეულის საანგარიშგებო ვალუტით ასახვისას, განსხვავებული გასაცვლელი სავალუტო კურსების გამოყენების შედეგად.

საოპერაციო საქმიანობა არის ა(ა)იპ-ის სადამფუძნებლო დოკუმენტით განსაზღვრული და სხვა ძირითადი საქმიანობა, რომელიც არ არის საინვესტიციო ან საფინანსო საქმიანობა.

საფინანსო საქმიანობა არის ისეთი საქმიანობა, რომლის შედეგად რაოდენობრივად და სტრუქტურულად იცვლება ა(ა)იპ-ის საკუთარი კაპიტალი და ნასესხები საშუალებები.

სახელმწიფო გულისხმობს მთავრობას, სახელმწიფო სააგენტოებს და ანალოგიურ ადგილობრივ, ეროვნულ ან საერთაშორისო ორგანიზაციებს.

სახელმწიფო გრანტები არის სახელმწიფოს მიერ ა(ა)იპ-ისათვის რესურსების გადაცემის სახით გაწეული დახმარება, მის საქმიანობასთან დაკავშირებული წარსულში შესრულებული ან მომავალში შესასრულებელი გარკვეული პირობების სანაცვლოდ. აქ არ იგულისხმება ისეთი ტიპის სახელმწიფო დახმარებები, რომელთა ღირებულების დასაბუთებული განსაზღვრა შეუძლებელია, აგრეთვე სახელმწიფოსთან დადებული ისეთი გარიგებები, რომლებიც არ განსხვავდება ჩვეულებრივი კომერციული გარიგებებისაგან.

სახელმწიფო დახმარება არის სახელმწიფოს ქმედება, რომელიც გულისხმობს რომელიმე კონკრეტული ა(ა)იპ-ისათვის ეკონომიკური დახმარების გაწევას, სათანადო კრიტერიუმების გათვალისწინებით. სახელმწიფო დახმარება, მოცემული სტანდარტის მიხედვით, არ მოიცავს ა(ა)იპ-ისათვის სახელმწიფოს მხრიდან სხვადასხვა ფორმით გაწეულ არაპირდაპირ დახმარებას, ტარიფებისა და კვოტების შემცირების, განვითარებად რეგიონებში ინფრასტრუქტურის შექმნისა და კონკურენტების სხვადასხვა შემზღვევით ღონისძიებების სახით.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები არის ა(ა)იპ-ის მიერ ნასესხები სახსრებისათვის საკუთარ თავზე აღებული პროცენტი და სხვა დანახარჯები.

უცხოური ვალუტა ეწოდება ყველა ვალუტას, რომელიც არ წარმოადგენს საქართველოს ეროვნულ ვალუტას.

ფინანსური ანგარიშგება ა(ა)იპ-ის გასული საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური ინფორმაცია, რომელშიც წარდგენის შესაფერისი საფუძვლების შესაბამისად სტრუქტურულად არის მოცემული სუბიექტის ფინანსური მდგომარეობა, საქმიანობის შედეგები, ფულადი სახსრებისა და კაპიტალის მოძრაობა, საადრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები.



ფონდები წარმოადგენს ა(ა)იპ-ის ნეტო აქტივებს, რომელიც არის წევრების, შემომწირველების, სპონსორების, დონორებისა და სხვა პირების მიერ ა(ა)იპ-ში შეტანილი აქტივების, მათი სხვაგვარი ზრდისა და შემცირების შედეგი და გამოიყენება ა(ა)იპ-ის მისიის შესასრულებლად. ფონდის გამოყენება შეიძლება იყოს მუდმივად შეზღუდული, დროებით შეზღუდული ან შეუზღუდავი.

ფულადი მუხლები ა(ა)იპ-ის განკარგულებაში არსებული ფულადი სახსრები, მისაღები აქტივები და გასანაღდებელი ვალდებულებები, რომლებიც გადახდილი ან მიღებული იქნება ფიქსირებული ან განსაზღვრადი რაოდენობის ფულის ერთეულებით.

ფულადი სახსრების ეკვივალენტები არის მოკლევადიანი, მაღალლიკვიდური ინვესტიციები, რომლებიც დაუზრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და რომელთა ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა.

ფულადი ნაკადები ნიშნავს ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების შემოსვლასა და გასვლას.

ფულად სახსრებში იგულისხმება ნაღდი ფული და დეპოზიტები მოთხოვნამდე.

შემოსავლებში იგულისხმება ფონდის შესავსებად განხორციელებული შენატანები, საწევრო შენატანები, შემოწირულობები, დივიდენდები, პროცენტები და სხვა სახის სარგებელი, რომელიც ზრდის ორგანიზაციის ა(ა)იპ-ის ფონდებს.

შემოსავლებთან დაკავშირებული გრანტები არის ა(ა)იპ-ის მიერ მიღებული ყველა გრანტი, გარდა აქტივებთან დაკავშირებული გრანტებისა.

შეზღუდული მხარდაჭერა ნიშნავს დონორის მხრიდან შეზღუდულ შემოსავალს ან შემოსულობას შენატანებიდან, რომელიც ზრდის დროებით, ან მუდმივად შეზღუდულ ფონდებს.

შეუზღუდავი ფონდი არის ა(ა)იპ-ის ფონდების ნაწილი, რომელიც დონორის მიერ არ იზღუდება არც დროებით და არც მუდმივად.

შეუზღუდავი მხარდაჭერა ნიშნავს შემოსავალს ან შემოსულობას შენატანებიდან, რომელიც დონორის მხრიდან არ არის შეზღუდული.

ჩვეულებრივ საქმიანობას უწოდებენ ნებისმიერ საქმიანობას, რომელსაც ა(ა)იპ ახორციელებს, როგორც თავისი ძირითადი საქმიანობის ნაწილს, აგრეთვე ისეთ საქმიანობას, რომელიც დაკავშირებულია ძირითად საქმიანობასთან ან მისგან გამომდინარეობს.

ცვეთა არის აქტივის ცვეთადი ღირებულების სისტემატური განაწილება, მისი მომსახურების ვადის განმავლობაში.

ძირითადი საშუალებები არის მატერიალური აქტივები, რომლებიც:

ა) იმყოფება ა(ა)იპ-ის განკარგულებაში და გამოიყენება მისი საქმიანობის განსახორციელებლად ან/და ადმინისტრაციული მიზნებისათვის; და

ბ) გათვალისწინებულია ერთ საანგარიშგებო პერიოდზე მეტი ხნით გამოსაყენებლად.

წინა პერიოდის შეცდომები არის ა(ა)იპ-ის ფინანსურ ანგარიშგებაში გამოტოვება ან არასწორად ასახვა, წარმოქმნილი ერთი ან რამდენიმე პერიოდის წინ იმის გამო, რომ ვერ იქნა ან არასწორად იქნა გამოყენებული საიმედო ინფორმაცია, რომელიც:

ა) ხელმისაწვდომი იყო, როცა შესაბამისი პერიოდის ფინანსური ანგარიშგება ნებადართული იყო საჯარო გამოქვეყნებისათვის; და

ბ) მართლზომიერად მოსალოდნელი იყო, რომ მოძიებული და გათვალისწინებული იქნებოდა ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს.

ეს შეცდომები მოიცავს მათემატიკური შეცდომების ეფექტს, სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებაში შეცდომებს, ფაქტების გადამეტებულ ან არასახვის შემთხვევებს და თაღლითობის შემთხვევებს.



კონცეპტუალური საფუძვლები

შესავალი

წინამდებარე კონცეპტუალური საფუძვლები განკუთვნილია ა(ა)იპ-ის მიერ საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად. კონცეპტუალურ საფუძვლებში განსაზღვრულია ა(ა)იპ-ის საქმიანობის ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პრინციპები.

წინამდებარე სტანდარტი განსაზღვრავს ზოგიერთ ძირითად ინფორმაციას, რომელიც წარდგენილ უნდა იქნეს ა(ა)იპ-ის ფინანსურ ანგარიშგებაში. ფინანსური ანგარიშგების უმთავრესი მიზანია, შეიცავდეს რელევანტურ ინფორმაციას ა(ა)იპ-ის დონორების, წევრების, კრედიტორებისა და ა(ა)იპ-ის რესურსებით სხვა მხარდამჭერთა ინტერესების დასაკმაყოფილებლად. ფინანსური ანგარიშგების გარე მომხმარებლები დაინტერესებულნი არიან, შეაფასონ:

- ა) ა(ა)იპ-ის მიერ გაწეული მომსახურება და მისი უნარი გააგრძელოს იგივე მომსახურება; და
- ბ) მმართველებისათვის დაკისრებული მოვალეობების შესრულება და მათი საქმიანობის სხვა საკითხები.

უფრო დეტალურად, ფინანსური ანგარიშგება მიზნად ისახავს დაინტერესებულ პირთა უზრუნველყოფას შემდეგი ინფორმაციით:

- ა) ა(ა)იპ-ის აქტივების, ვალდებულებებისა და ფონდების ოდენობა და ხასიათი;
- ბ) ოპერაციებისა და სხვა მოვლენების შედეგი და მათი გავლენა ფონდების ოდენობასა და ხასიათზე;
- გ) წლის განმავლობაში ეკონომიკური რესურსების შემოდინებისა და გადინების ოდენობა და სახე, თანაფარდობა შემოდინებასა და გადინებას შორის;
- დ) ფულადი ნაკადების მიღება და ხარჯვა, სესხების მოზიდვა და დაფარვა, სხვა ფაქტორები, რომლებიც უკავშირდება ა(ა)იპ-ის ლიკვიდობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება, როგორც წესი, ეყრდნობა უტყუარ და სამართლიან თვალსაზრისს ა(ა)იპ-ის ფინანსური მდგომარეობის, მისი საქმიანობის შედეგებისა და ფინანსური მდგომარეობის ცვლილებების შესახებ. უტყუარობისა და სამართლიანობის კონცეფცია წინამდებარე კონცეპტუალურ საფუძვლებში არ არის განხილული, მაგრამ ძირითადი დაშვებების, ინფორმაციის ხარისხობრივი მახასიათებლებისა და სტანდარტში განსაზღვრული სააღრიცხვო პრინციპების გამოყენება უტყუარი და სამართლიანი ინფორმაციის მომზადების საშუალებას იძლევა.

ა(ა)იპ-ის ფინანსური ანგარიშგება მზადდება თავდაპირველი ღირებულების მიხედვით.

ძირითადი დაშვებები

ფუნქციონირებადობა. ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს, ჩვეულებრივ, იგულისხმება, რომ ა(ა)იპ ფუნქციონირებს და საქმიანობას გააგრძელებს უახლოეს საპროგნოზო მომავალში. იგულისხმება, რომ ა(ა)იპ არ აპირებს და არ მოუწევს თავისი საქმიანობის შეწყვეტა ან მისი მასშტაბების საგრძნობლად შემცირება.

ფინანსური ანგარიშგების ხარისხობრივი მახასიათებლები

ფინანსური ანგარიშგების ხარისხობრივი მახასიათებლები ის ნიშან-თვისებებია, რომლებიც ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ ინფორმაციას გადააქცევს მომხმარებლებისათვის სასარგებლო ინფორმაციად. ეს მახასიათებლებია:

აღქმადობა გულისხმობს ინფორმაციის ისეთი ფორმით მიწოდებას, რომელიც ადვილად გასაგები და გამოსაყენებელი იქნება მომხმარებლისათვის. ამასთან, იგულისხმება, რომ მომხმარებელს გააჩნია გარკვეული ცოდ-



ნა ბუღალტრული აღრიცხვის სფეროში და ფინანსური ინფორმაციის აღქმის უნარი. აღქმადობა არ გულისხმობს ძნელად აღსაქმელი ფინანსური ინფორმაციის ანგარიშგებაში ასახვისაგან თავის შეკავებას.

შესაბამისობა გულისხმობს ინფორმაციის სარგებლიანობას. ინფორმაცია სასარგებლოა და გააჩნია შესაბამისობის თვისება, თუ ის გავლენას ახდენს ინფორმაციის მომხმარებლის ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე იმით, რომ მას ეხმარება შეაფასოს ა(ა)იპ-ის წარსული, მიმდინარე და მომავალი საქმიანობა, ან დაადასტუროს ან შეასწოროს აღრიცხვითი შეფასებები. ინფორმაციის შესაბამისობაზე გავლენას ახდენს მისი არსებითობა. ინფორმაცია ითვლება არსებითად, თუ მისი გამოტოვება ან დამახინჯება გავლენას მოახდენს იმ მომხმარებელთა გადაწყვეტილებებზე, რომლებიც ეყრდნობა ფინანსურ ანგარიშგებას. არაარსებითი ინფორმაციის ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვა ართულებს აღრიცხვის პროცესს და არაფერს მატებს ფინანსური ინფორმაციის სარგებლიანობას, ანუ არსებითობა ის ზღვარია, რომლის გადალახვის შედეგად ინფორმაცია უსარგებლო ხდება.

საიმედოობა გულისხმობს ფინანსური ინფორმაციის: სამართლიანად მომზადებას (სამართლიანად უნდა ასახავდეს ყველა სამეურნეო ოპერაციასა და მოვლენას), შინაარსის ფორმაზე აღმატებულებას (ინფორმაცია სამეურნეო ოპერაციის შესახებ აუცილებელია აისახოს შინაარსისა და ეკონომიკური რეალობის და არასამართლებრივი ფორმის შესაბამისად), ნეიტრალობას (არ უნდა ასახავდეს ისეთ ინფორმაციას, რომელიც წინასწარ განზრახულ შედეგს განაპირობებს), წინდახედულობას (უნდა იყოს პროფესიულად კეთილგონივრული იმ განუსაზღვრელი გარემოებების მიმართ, რომელიც გარდაუვლად თან ახლავს ფინანსურ ანგარიშგებას) და სისრულეს (არ უნდა იყოს გამოტოვებული არსებითი ინფორმაცია).

შესადარისობა გულისხმობს ფინანსური ინფორმაციის მომხმარებლისათვის ა(ა)იპ-ის სხვადასხვა წლის საქმიანობის შედარებისა და შეფასების შესაძლებლობის უზრუნველყოფას, ა(ა)იპ-ის შედეგების ტენდენციების განსაზღვრის მიზნით.

ფინანსური ანგარიშგების ელემენტები

ფინანსურ ანგარიშგებაში აღწერილია საანგარიშგებო პერიოდში მომხდარი ყველა სამეურნეო ოპერაციისა და მოვლენის ფინანსური შედეგი, რომლებიც დაჯგუფებულია მათი ეკონომიკური მახასიათებლების მიხედვით. ამგვარ ფართო დაჯგუფებებს ფინანსური ანგარიშგების ელემენტებს უწოდებენ. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ეს ელემენტები წარმოდგენილია აქტივების, ვალდებულებებისა და ფონდების, ხოლო საქმიანობის შედეგების შესახებ ანგარიშგებაში – შემოსავლებისა და ხარჯების სახით.

აქტივი არის ა(ა)იპ-ის განკარგულებაში არსებული მატერიალური ან არამატერიალური რესურსი, რომელიც წარსულში მომხდარი სამეურნეო მოვლენების შედეგია და რის საფუძველზეც ა(ა)იპ მომავალში მოელის ეკონომიკური სარგებლის მიღებას.

ვალდებულება არის ა(ა)იპ-ის მიმდინარე პერიოდის მოვალეობა, რომელიც წარმოიშვა წარსულში მომხდარი სამეურნეო მოვლენების შედეგად და რომლის შესრულება გულისხმობს ა(ა)იპ-ის ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლას.

ფონდები (ნეტო აქტივები) არის ა(ა)იპ-ის აქტივების ის ნაწილი, რომელიც რჩება ყველა ვალდებულების გამოკლების შემდეგ.

შემოსავალი არის ა(ა)იპ-ის ეკონომიკური სარგებლის ზრდა საანგარიშგებო პერიოდში, აქტივების ზრდის ან ვალდებულებების შემცირების გზით, რაც გამოიხატება ა(ა)იპ-ის ფონდების გადიდებით.

ხარჯი არის ა(ა)იპ-ის მიერ ეკონომიკური სარგებლის შემცირება საანგარიშგებო პერიოდში, აქტივების ა(ა)იპ-იდან გასვლის ან ვალდებულებების ზრდის საფუძველზე, რაც გამოიხატება ა(ა)იპ-ის ფონდების შემცირებით.

ფინანსური ანგარიშგების ელემენტების აღიარება და შეფასება

აღიარება არის ა(ა)იპ-ის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ან საქმიანობის შედეგების შესახებ ანგარიშგებაში იმ მუხლის ასახვის პროცესი, რომელიც აკმაყოფილებს მოცემული ელემენტის განმარტებასა და აღიარების შემდეგ კრიტერიუმებს:



ა) შესაძლებელია ამ მუხლით გამოწვეული მომავალი ეკონომიკური სარგებლის ა(ა)იპ-ში შემოსვლა ან გავლა; და

ბ) მუხლს გააჩნია საიმედოდ შეფასებული რიცხოვრივი მნიშვნელობა.

სხვა სიტყვებით, აღიარება გულისხმობს მოცემული მუხლის სიტყვიერ და თანხობრივ ასახვას ფინანსურ ანგარიშგებაში.

შეფასება არის ფულადი თანხების განსაზღვრის პროცესი, რომლის მიხედვითაც ხდება მოცემული ელემენტის აღიარება ფინანსურ ანგარიშგებაში.

აღიარებისა და შეფასების წესები დადგენილია წინამდებარე სტანდარტის ცალკეულ თავებში.

თავი 1. ფინანსური ანგარიშგების წარდგენა

ა(ა)იპ ფინანსურ ანგარიშგებას წარადგენს წინამდებარე თავის მიხედვით. მოცემული თავი განსაზღვრავს ა(ა)იპ-ის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის ძირითად საფუძვლებს და აკმაყოფილებს ა(ა)იპ-ის ფინანსურ ინფორმაციაზე მომხმარებელთა მოთხოვნებს.

1.1. ა(ა)იპ-ის საერთო დანიშნულების წლიური ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად და წარსადგენად გამოყენებული უნდა იქნეს წინამდებარე თავი.

1.2. სტანდარტის წინამდებარე თავი ადგენს ა(ა)იპ-ის საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების წარდგენის წესს. მისი მიზანია საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობის, აღქმადობისა და შესადარისობის უზრუნველყოფა იმ მოტივით, რომ ფინანსურმა ანგარიშგებამ დააკმაყოფილოს გარე მომხმარებლების მოთხოვნა ზოგიერთ ძირითად ინფორმაციაზე. ამიტომ მოთხოვნილია, რომ ფინანსური ანგარიშგება შეიცავდეს ინფორმაციას ა(ა)იპ-ის ფინანსური მდგომარეობის, საქმიანობის შედეგების, ფონდებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის შესახებ.

1.3. ფინანსური ანგარიშგების მომზადება და წარდგენა ევალება ა(ა)იპ-ის ხელმძღვანელობას.

1.4. ა(ა)იპ-ის სრული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს:

ა) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას პერიოდის დასასრულისთვის;

ბ) ანგარიშგებას საქმიანობის შედეგების შესახებ;

გ) ანგარიშგებას ფონდებში ცვლილების შესახებ;

დ) პერიოდის ფულადი ნაკადების ანგარიშგებას;

ე) განმარტებით შენიშვნებს, სადაც განხილულია ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა და სხვა განმარტებითი ინფორმაცია.

1.5. ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, ა(ა)იპ-ს ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად, შეუძლია მოამზადოს ხელმძღვანელობის ფინანსური მიმოხილვა, რომელშიც აღწერილი და ახსნილი იქნება მის მიერ განხორციელებული პროექტების შედეგები და ფინანსური მდგომარეობის ძირითადი საკითხები.

1.6. ფინანსურმა ანგარიშგებამ უტყუარად და სამართლიანად უნდა წარმოადგინოს ა(ა)იპ-ის საანგარიშგებო პერიოდის საქმიანობის ფინანსური შედეგები და ფულადი ნაკადები და რეალური ფინანსური მდგომარეობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის. სამართლიანი წარდგენის უზრუნველსაყოფად, აუცილებლობის შემთხვევაში, შეიძლება გაკეთდეს ისეთი დამატებითი განმარტებები, რომლებიც არ მოითხოვება მოცემული სტანდარტით.

1.7. ფინანსურ ანგარიშგებაში უნდა მიეთითოს, რომ იგი მომზადებულია ა(ა)იპ-ის ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის მიხედვით. თუ ფინანსური ანგარიშგება არ შეესაბამება ა(ა)იპ-ის ფინანსური ანგარიშგების სტანდარტით დადგენილ ნორმებს, მაშინ უნდა გამოქვეყნდეს სტანდარტიდან გადახვევის ფაქტი და მიზეზი.



1.8. ა(ა)იპ-ის ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში უნდა შეფასდეს, მისი ფუნქციონირებადობა. ფინანსური ანგარიშგება უნდა მომზადდეს ფუნქციონირებადობის პრინციპის გათვალისწინებით, რომელიც გულისხმობს ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენას მოცემული სტანდარტის მიხედვით მხოლოდ მაშინ, როდესაც ა(ა)იპ ინარჩუნებს ფუნქციონირებადობის უნარს.

1.9. ა(ა)იპ-ის ფინანსური ანგარიშგება, გარდა ფულადი ნაკადების შესახებ ანგარიშგებისა, უნდა მომზადდეს დარიცხვის მეთოდის გამოყენებით.

1.10. ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნებისთვის დარიცხვის მეთოდის გამოყენებისას, ოპერაციები და მოვლენები უნდა აღიარდეს მათი განხორციელებისთანავე (და არა იმის მიხედვით, როდის მოხდება ფულადი სახსრების ან მისი ეკვივალენტების შემოსვლა ან გასვლა). ისინი უნდა აისახოს იმ პერიოდის ბუღალტრულ რეგისტრებსა და ფინანსურ ანგარიშგებაში, რომელსაც მათი მოხდენის თარიღი მიეკუთვნება. ხარჯების აღიარება საქმიანობის შედეგების ანგარიშგებაში უნდა მოხდეს ხარჯებისა და შემოსავლების კონკრეტულ მუხლებს შორის არსებული პირდაპირი კავშირის საფუძველზე. ამასთან, შესაბამისობის კონცეფციის მიხედვით, არ შეიძლება ბალანსში იმ მუხლების ასახვა, რომლებიც არ შეესაბამება აქტივების ან ვალდებულებების განმარტებას.

1.11. შესაძარისობის მოთხოვნის უზრუნველსაყოფად, ფინანსური ანგარიშგების მუხლების კლასიფიკაცია და წარდგენის ფორმა უნდა შენარჩუნდეს ყოველ მომდევნო საანგარიშგებო პერიოდში.

1.12. აუცილებელია ყველა არსებითი მუხლის ფინანსურ ანგარიშგებაში განცალკევებით წარდგენა. არაარსებითი თანხები უნდა გაერთიანდეს ფუნქციების ან შინაარსის ერთგვაროვნების მიხედვით და საჭირო არ არის მათი ცალ-ცალკე წარდგენა.

1.13. დაუშვებელია აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა, თუ იგი არ მოითხოვება წინამდებარე სტანდარტის რომელიმე ნორმით.

1.14. აქტივებისა და ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების არსებითი მუხლების ფინანსურ ანგარიშგებაში ცალ-ცალკე წარდგენას დიდი მნიშვნელობა აქვს. საქმიანობის შედეგების ანგარიშგებასა და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების არსებითი მუხლების განცალკევებით წარმოდგენა ინფორმაციის მომხმარებელს შესაძლებლობას აძლევს, კარგად გაერკვეს განხორციელებულ ოპერაციებში და შეაფასოს ა(ა)იპ-ის ფულადი ნაკადები მომავალში.

1.15. მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების უკეთ გასაგებად აუცილებელია ფინანსური ანგარიშგება მოიცავდეს ქრონოლოგიურად თანამიმდევარი ორი საანგარიშგებო პერიოდის შესადარის ინფორმაციას.

1.16. ფინანსური ანგარიშგება გასაგებად უნდა იყოს იდენტიფიცირებული და გამოკვეთილი იმავე ოფიციალურ დოკუმენტში გამოქვეყნებული სხვა ინფორმაციისაგან.

1.17. ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად, შეიძლება ა(ა)იპ აქვეყნებდეს სხვა ფინანსურ და არაფინანსურ ინფორმაციას, რომელზეც არ ვრცელდება წინამდებარე სტანდარტი. ამიტომ მოითხოვება, რომ ფინანსური ანგარიშგება მკაფიოდ გამოირჩეოდეს სხვა ინფორმაციისაგან, რათა მომხმარებელმა შეძლოს ამ სტანდარტის საფუძველზე მომზადებული ფინანსური ინფორმაციის გარჩევა მისთვის სასარგებლო სხვა ინფორმაციისაგან.

1.18. ფინანსური ანგარიშგების თითოეული კომპონენტი გარკვევით უნდა იყოს იდენტიფიცირებული. ანგარიშგებაში თვალსაჩინოდ უნდა იყოს ფორმულირებული შემდეგი ინფორმაცია:

ა) ა(ა)იპ-ის დასახელება ან სხვა სადენტიფიკაციო მონაცემები;

ბ) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების შედგენის თარიღი ან ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული პერიოდი, რომელიც შეესაბამება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის კომპონენტს;

გ) საანგარიშგებო ვალუტა; და

დ) ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი რიცხვების სიზუსტის ხარისხი.

1.19. მიზანშეწონილია, მაგრამ სავალდებულო არ არის, გრძელვადიანი და მოკლევადიანი მუხლების ბალანსში განცალკევებულად ასახვა. თუ ა(ა)იპ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ მიჯნავს აქტივებისა და ვალდებულებების გრძელვადიან მუხლებს მოკლევადიანი მუხლებისაგან, მაშინ მათი წარდგენა ხდება ლიკვიდობის ზრდის მიხედვით.



1.20. აქტივი ჩაითვლება მიმდინარე აქტივად, თუ:

- ა) განკუთვნილია გასაყიდად ან მოხმარებისათვის ჩვეულებრივი საქმიანობის ციკლის განმავლობაში;
- ბ) ძირითადად, გამოიყენება მოკლევადიანი მიზნებისათვის და მისი რეალიზაცია ივარაუდება ერთი წლის განმავლობაში; ან
- გ) არის ფულადი სახსრები ან მისი ეკვივალენტები, რომელთა გამოყენება არ არის შეზღუდული.

ყველა სხვა აქტივი ითვლება გრძელვადიან აქტივად.

1.21. წინამდებარე სტანდარტში ცნება “გრძელვადიანი აქტივები” მოიცავს ყველა გრძელვადიან მატერიალურ და არამატერიალურ აქტივს, რომლებიც ხანგრძლივად გამოიყენება.

1.22. ვალდებულება მოკლევადიანია, თუ მისი დაფარვა მოსალოდნელია ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღიდან 12 თვის განმავლობაში.

ყველა სხვა ვალდებულება ითვლება გრძელვადიან ვალდებულებად.

1.23. ბალანსში აუცილებელია აისახოს ქვემოთ ჩამოთვლილი მუხლები შესაბამისი თანხებით:

- ა) ძირითადი საშუალებები;
- ბ) ინვესტიციები;
- გ) მარაგები;
- დ) დებიტორები;
- ე) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები;
- ვ) საოპერაციო და სხვა ვალდებულებები;
- ზ) საგადასახადო ვალდებულებები და აქტივები;
- ი) ანარიცხები;
- კ) გრძელვადიანი პროცენტიანი ვალდებულებები;
- ლ) ფონდები და რეზერვები.

1.24. თუ ა(ა)იპ ფინანსურ ანგარიშგებაში განაცალკევებს მოკლევადიან და გრძელვადიან მუხლებს, მაშინ ბა-ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, ზემოთ განხილული აუცილებელი საბალანსო მუხლების გარდა, უნდა მოიცავდეს ქვეჯგუფების სახელწოდებებსა და ჯამურ თანხებს.

1.25. ა(ა)იპ-ის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება შეიძლება წარმოდგენილი იყოს ვერტიკალური ან ჰორიზონტალური ფორმატით. სასურველია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მუხლებისა და ქვეჯგუფების ასახვა მათი ლიკვიდობის ზრდის მიხედვით.

1.26. საანგარიშგებო პერიოდის საქმიანობის შედეგების შესახებ ა(ა)იპ-ის ანგარიშგებაში უნდა აისახოს მოცემულ პერიოდში აღიარებული შემოსავლებისა და ხარჯების ყველა მუხლი.

1.27. საანგარიშგებო პერიოდის საქმიანობის შედეგი ყალიბდება შემდეგი კომპონენტისაგან ჩვეულებრივი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები და ხარჯები (რომელთაგან თითოეული უნდა აისახოს საქმიანობის შედეგების ანგარიშგებაში).

1.28. საქმიანობის შედეგების შესახებ ანგარიშგება უნდა გაიმიჯნოს შეუზღუდავ, დროებით შეზღუდულ და მუდმივად შეზღუდულ ფონდებთან დაკავშირებული ხარჯების მიხედვით. ანგარიშგების ყოველ ნაწილში აუცილებელია აისახოს ქვემოთ ჩამოთვლილი მუხლების შესაბამისი თანხები:



- ა) შემოსავალი (სახეების მიხედვით);
- ბ) ხარჯების სტრუქტურა (ხარჯების ფუნქციების მიხედვით);
- გ) მიმდინარე საოპერაციო საქმიანობის შედეგები;
- დ) ფინანსური ხარჯები;
- ე) საგადასახადო ხარჯები;
- ვ) შემოსავლების მეტობა ხარჯებზე ან დეფიციტი;
- ზ) საანგარიშგებო პერიოდის წმინდა შედეგი.

1.29. საქმიანობის შედეგების ანგარიშგებაში ხარჯები აგრეგირდება მათი ფუნქციების მიხედვით. ანგარიშგებას დაერთვის ეკონომიკური შინაარსის მიხედვით კლასიფიცირებული ხარჯები (მაგალითად, ცვეთა, მასალების შექმნა, ტრანსპორტირების დანახარჯები, ხელფასები და გასამრჯელოები, სარეკლამო დანახარჯები და სხვ.).

1.30. თუ ა(ა)იპ საქმიანობას ახორციელებს მიღებული გრანტების საშუალებით, იგი ვალდებულია გაამჟღავნოს დამატებითი ინფორმაცია ხარჯების ფუნქციების შესახებ. დამატებითი ინფორმაცია წარდგენილი უნდა იქნეს გრანტით დაფინანსებული პროექტების მიხედვით.

1.31. ა(ა)იპ-მა ფინანსური შედეგის ცალკე მუხლის სახით უნდა წარადგინოს მოცემული საანგარიშგებო პერიოდის წმინდა შედეგი.

1.32. ა(ა)იპ-მა ყოველი საანგარიშგებო პერიოდისათვის უნდა მოამზადოს ანგარიშგება ფონდების სტრუქტურისა და ცვლილების შესახებ.

1.33. ფინანსურმა ანგარიშგებამ უნდა უზრუნველყოს ა(ა)იპ-ის ფონდების წარდგენა დონორის მხრიდან დაწესებული შეზღუდვების შემდეგი სამი კლასის მიხედვით: მუდმივად შეზღუდული ფონდები; დროებით შეზღუდული ფონდები და შეუზღუდავი ფონდები.

1.34. დონორის შეზღუდვა შეიძლება მოითხოვდეს, რომ რესურსები გამოიყენებოდეს შემდგომ პერიოდში ან მითითებული თარიღის შემდეგ (დროით შეზღუდული), ან გამოყენებული იყოს მითითებული მიზნებისათვის (მიზნით შეზღუდული) ან ორივეს ერთად. მაგალითად, ფულის ან სხვა აქტივის ჩუქება დაბანდების ისეთი პირობით, რომ უზრუნველყოს შემოსავალი მითითებული ვადისათვის და შემოსავალი გამოყენებულ იქნეს მითითებული მიზნისათვის, წარმოადგენს დროით და მიზნით შეზღუდულ ფონდს.

1.35. ა(ა)იპ-მა ყოველი საანგარიშგებო პერიოდისათვის, ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილის სახით, უნდა მოამზადოს და წარადგინოს ფულადი ნაკადების ანგარიშგება.

1.36. საანგარიშგებო პერიოდის ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში ფულადი ნაკადები უნდა აისახოს საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობის ფულად ნაკადებად დაჯგუფებით.

1.37. ფულადი ნაკადების საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობის ფულად ნაკადებად დაჯგუფების მიზანია, დადგინდეს თითოეული საქმიანობის ფულადი ნაკადების როლი.

1.38. საოპერაციო საქმიანობის ფულადი ნაკადები უმეტესად ა(ა)იპ-ის ძირითადი საქმიანობიდან წარმოიშობა. საოპერაციო საქმიანობის ფულადი ნაკადების მაგალითებია:

- ა) გაწევრიანების, საწევროების, შემოწირულობებისა და გრანტების სახით მიღებული შემოსავლები;
- ბ) როიალტებიდან, ჰონორარებიდან და სხვა შემოსავლებიდან მიღებული ფულადი სახსრები;
- გ) საქონელსა და მომსახურებაზე მომწოდებელთათვის გადახდილი ფულადი სახსრები;
- დ) თანამშრომლებისათვის და მათი სახელით გადახდილი ფულადი სახსრები;



ე) სადაზღვევო პრემიებითა და პრეტენზიებით, ანუიტეტებითა და სხვა სადაზღვევო დახმარებებით მიღებული და გადახდილი ფულადი სახსრები;

ვ) გადასახადებთან დაკავშირებული ფულადი სახსრების გადახდა ან დაბრუნება, თუ იგი დაკავშირებული არ არის საფინანსო და საინვესტიციო საქმიანობასთან.

1.39. საინვესტიციო საქმიანობა გვიჩვენებს, თუ რა დანახარჯები იქნა გაწეული იმ რესურსებისათვის, რომლებმაც მომავალში უნდა შექმნას შემოსავალი და ფულადი სახსრები. ამიტომ, მნიშვნელოვანია საინვესტიციო საქმიანობის ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში ცალკე გამოყოფა. საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მაგალითებია:

- ა) ძირითადი საშუალებებისა და სხვა გრძელვადიანი აქტივების შესაძენად გადახდილი ფულადი სახსრები;
- ბ) ძირითადი საშუალებებისა და სხვა გრძელვადიანი აქტივების რეალიზაციიდან მიღებული ფულადი სახსრები;
- გ) სასესხო ინსტრუმენტებისა და ერთობლივი საქმიანობის წილის შესაძენად გადახდილი ფულადი სახსრები (იმ გადახდების გარდა, როდესაც ამგვარი ინსტრუმენტები ითვლება ფულადი სახსრების ეკვივალენტებად);

1.40. მნიშვნელოვანია საფინანსო საქმიანობის ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში ცალკე გამოყოფა. საფინანსო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მაგალითებია:

- ა) სესხების სახით მოზიდული ფულადი სახსრები;
- ბ) სესხების დასაფარად გადახდილი ფულადი სახსრები; და
- გ) ფინანსური იჯარის ვალდებულებების შესამცირებლად გადახდილი ფულადი სახსრები.

1.41. საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადები ა(ა)იპ-მა უნდა წარადგინოს პირდაპირი მეთოდით, რომელშიც ნაჩვენებია იქნება ფულადი სახსრების შემოსავლისა და გასავლის მთლიანი ნაკადები, ძირითადი კატეგორიების მიხედვით.

1.42. მიღებული ან გაცემული ფულადი სახსრების ძირითადი პუნქტების მიხედვით, ინფორმაციის წყარო შეიძლება იყოს:

- ა) ა(ა)იპ-ის საბუღალტრო წიგნები; ან
- ბ) საქმიანობის შედეგების ანგარიშგების მუხლების კორექტირება შემდეგის გათვალისწინებით:
 - I) საანგარიშგებო პერიოდში მარაგებსა და საოპერაციო საქმიანობის შედეგად წარმოქმნილ მოთხოვნებსა და გადასახდელებში მომხდარი ცვლილებები;
 - II) სხვა არაფულადი მუხლები;
 - III) სხვა მუხლები, რომლებიც გვიჩვენებს საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობასთან დაკავშირებულ ფულად ნაკადებს.

1.43. ა(ა)იპ-მა ცალ-ცალკე უნდა წარადგინოს საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების შემოსვლა და გასვლა, ძირითადი კატეგორიების მიხედვით.

1.44. უცხოური ვალუტით შესრულებულ სამეურნეო ოპერაციებთან დაკავშირებული ფულადი ნაკადები წარდგენილი უნდა იქნეს ა(ა)იპ-ის საანგარიშგებო ვალუტით. გადასაანგარიშებლად გამოყენებული უნდა იქნეს საანგარიშგებო ვალუტასა და უცხოურ ვალუტას შორის გასაცვლელი სავალუტო კურსი ფულადი სახსრების მოძრაობის დღისათვის.

1.45. გრანტების, პროცენტებისა და დივიდენდების სახით მიღებული და გაცემული ფულადი ნაკადები კლასიფიცირდება საოპერაციო საქმიანობად და აისახება განცალკევებით.

1.46. გადასახადებთან დაკავშირებული ფულადი ნაკადები კლასიფიცირდება საოპერაციო საქმიანობად და ცალკე აისახება.



1.47. ა(ა)იპ-მა ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში უნდა ასახოს შემდეგი ინფორმაცია:

ა) ფინანსური ანგარიშგების მომზადებისათვის არსებული საბაზისო ინფორმაცია და მნიშვნელოვანი სამეურნეო ოპერაციებისა და მოვლენების ასახვისათვის შერჩეული და გამოყენებული შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკა;

ბ) მუდმივად შეზღუდული ფონდის ცალკეული კომპონენტები, რათა ადვილად გაიმიჯნოს ერთმანეთისაგან:

I) ფონდი, მიწისა და ხელოვნების ნიმუშის სახით, რომელიც შეწირულია იმ შეთანხმებით, რომ ისინი გამოყენებულ იქნეს მითითებული მიზნისათვის, იყოს შენარჩუნებული და არ გაიყიდოს;

II) ფონდი, რომელიც შეწირულია დაბანდების შეთანხმებით, რომელმაც უნდა უზრუნველყოს შემოსავლების მუდმივი წყარო;

გ) დროებით შეზღუდული ფონდები, რათა განსხვავებულ იქნეს ერთმანეთისაგან:

I) სპეციფიკური საოპერაციო მოქმედებისათვის შენარჩუნებული ფონდი;

II) განსაზღვრული დროით ინვესტირებული ფონდი;

III) მითითებულ მომავალ პერიოდში გამოსაყენებელი და ხანგრძლივი აქტივების შესაძენი ფონდი;

დ) წინამდებარე სტანდარტის სხვა თავების ნორმებით გათვალისწინებული განმარტებითი ინფორმაცია, რომელიც წარდგენილი არ არის უშუალოდ ფინანსურ ანგარიშგებაში.

1.48. ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული ინფორმაციის ადვილად გაგებისა და სხვა ა(ა)იპ-ების ანალოგიურ ინფორმაციასთან შედარების უზრუნველსაყოფად, შენიშვნები და განმარტებები მოცემული უნდა იყოს შემდეგი თანმიმდევრობით:

ა) აღნიშვნა, რომ ანგარიშგება მომზადებულია მოცემული ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის შესაბამისად;

ბ) შეფასების საფუძვლები და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა;

გ) დამატებითი დამამტკიცებელი ინფორმაცია უშუალოდ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი მუხლებისათვის ისეთივე თანმიმდევრობით, როგორც მოცემულია ფინანსური ანგარიშგების თითოეული კომპონენტი და მუხლი;

დ) სხვა განმარტებები, რომლებიც მოიცავს:

I) გაუთვალისწინებელ მოვლენებს, ვალდებულებებს, რომლებიც ექვემდებარება შესრულებას და სხვა სახის ფინანსური შინაარსის განმარტებითი შენიშვნები;

II) არაფინანსური შინაარსის განმარტებებს.

1.49. ა(ა)იპ-მა უნდა გაამჟღავნოს შემდეგი ინფორმაცია:

ა) ა(ა)იპ-ის ადგილმდებარეობა, ქვეყანა, სადაც ა(ა)იპ არის რეგისტრირებული და იურიდიული მისამართი (ან საქმიანობის ძირითადი ადგილი, თუ იგი განსხვავდება იურიდიული მისამართისაგან);

ბ) ა(ა)იპ-ის წევრთა და დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში;

თავი 2. მარაგები

წინამდებარე თავი ადგენს ა(ა)იპ-ის მარაგების (არაგრძელვადიანი აქტივების) აღრიცხვის წესს. ამ თავში ასევე აღწერილია მარაგების თვითღირებულების განსაზღვრისა და მისი ხარჯებად აღიარების წესები.

2.1. მარაგების ობიექტი, რომელიც აკმაყოფილებს აქტივის აღიარების კრიტერიუმებს, თავდაპირველად უნდა შეფასდეს თვითღირებულებით.



2.2. მარაგების თვითღირებულებაში შედის მის შექმნასთან და გადამუშავებასთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი, აგრეთვე ის დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია მოცემულ ადგილსამყოფელამდე მის ტრანსპორტირებასთან და მიღებული მარაგების სათანადო მდგომარეობაში მოყვანასთან.

2.3. მარაგის შექმნის დანახარჯები მოიცავს: მისი შექმნის (ნასყიდობის) ფასს, იმპორტის გადასახადსა და სხვა გადასახადებს (არაპირდაპირი გადასახადების გარდა, რომლებიც დაბრუნებას (ჩათვლას) ექვემდებარება), ტრანსპორტირების, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებსა და სხვა დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მზა პროდუქციის, ნედლეულის, მასალებისა და მომსახურების შექმნასთან. შექმნის დანახარჯების გაანგარიშებისას გაანგარიშებული თანხა შემცირდება სავაჭრო დათმობის, სხვადასხვა სახის ფასდათმობისა და სხვა ანალოგიური მუხლების ღირებულებით. თუ გადახდა გადავადებულია (შემდგომი გადახდის პირობით) და შემდგომი გადახდის ფასი მეტია დაუყოვნებლივ გადახდის ფასზე, მაშინ მარაგების თვითღირებულებაში ასახული შექმნის ფასი არის გარიგების თარიღისთვის ხელმისაწვდომი დაუყოვნებლივ გადახდის ფასი.

2.4. მარაგის თვითღირებულება მოიცავს ყველანაირ დანახარჯს, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია მარაგის არსებულ ადგილამდე ტრანსპორტირებასა და მათ ახლანდელ მდგომარეობაში მოყვანასთან, მათ შორის:

(ა) შექმნის დანახარჯებს;

(ბ) გადამუშავების დანახარჯებსა; და

(გ) სხვა დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდაა დაკავშირებული მარაგის არსებულ ადგილამდე ტრანსპორტირებასა და მათ ახლანდელ მდგომარეობაში მოყვანასთან.

2.5. თვითღირებულების ფორმულები: ა(ა)იპ-მა ინდივიდუალურად იდენტიფიცირებადი მარაგების თვითღირებულება, ასევე კონკრეტული პროექტებისთვის წარმოებული და განკუთვნილი საქონლის ან მომსახურების თვითღირებულება უნდა განსაზღვროს ცალ-ცალკე მათზე გაწეული ინდივიდუალური დანახარჯების იდენტიფიკაციით. ყველა სხვა მარაგის თვითღირებულება უნდა შეფასდეს ე.წ. „FIFO მეთოდით“ (რომლის მიხედვითაც საანგარიშგებო პერიოდში, პირველ რიგში რეალიზებულად ითვლება ის საქონელი, რომელიც საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისთვის მიეკუთვნება მარაგს, ხოლო შემდეგ - ის საქონელი, რომელიც წარმოებულია (შექმნილია) საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, მისი წარმოების (შექმნის) დროის მიხედვით), ან საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულის გამოყენებით.

2.6. მარაგების გამოყენების (გასვლის) შემთხვევაში, მათი თავდაპირველი ღირებულება უნდა აღიარდეს იმ პერიოდის ხარჯებად, როდესაც მიღებულ იქნა შესაბამისი სარგებელი.

თავი 3. ძირითადი საშუალებები

ეს თავი ადგენს ა(ა)იპ-ის ძირითადი საშუალებების აღრიცხვისა და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვის წესს. იგი მოიცავს ძირითადი საშუალებების აღიარების, აღიარების დროინდელი და შემდგომი შეფასებების, ცვლილისა და საბალანსო ღირებულების განსაზღვრის საკითხებს.

3.1. მოცემული თავი გამოიყენება ა(ა)იპ-ის ძირითადი საშუალებების აღრიცხვისა და ანგარიშგებაში ასახვისათვის.

3.2. ძირითადი საშუალებები აქტივად აღიარდება, თუ:

ა) მოსალოდნელია, რომ ა(ა)იპ მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს; და

ბ) შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება.

3.3. ზოგჯერ ძნელია იმის დადგენა, რას წარმოადგენს ძირითადი საშუალებების ესა თუ ის ობიექტი. ამის დასაზუსტებლად საჭიროა შემოწმდეს თითოეული ობიექტის შესაბამისობა აქტივის განმარტებასთან. ზოგიერთ შემთხვევაში მიზანშეწონილია კრიტერიუმის გამოყენება ინდივიდუალურად, უმნიშვნელო ობიექტების აგრეგირებული ერთობლიობის მიმართ. სათანადო ნაწილებისა და მომსახურე დანადგარების უმრავლესობა აღრიცხება მარაგების სახით და გამოყენებისთანავე აისახება როგორც ხარჯი. თუმცა, ძვირადღირებული სათანადარიგო და დამხმარე ნაწილები ძირითადი საშუალებების კრიტერიუმს აკმაყოფილებენ იმ შემთხვევაში, თუ ა(ა)იპ აპირებს მათ გამოყენებას ერთზე მეტი სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში. ანალოგიურად, თუ



სათადარიგო ნაწილი ან დამხმარე მასალა შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ ძირითადი საშუალებების რომელიმე კონკრეტულ ობიექტთან ერთად და მათი გამოყენება მოხდება არარეგულარულად, ისინი უნდა აღიარდეს და გატარდეს ძირითადი საშუალებების ობიექტის სახით და მათი ცვეთა მოხდეს იმ ვადით, რომელიც არ აღემატება მათთან დაკავშირებული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადას.

3.4. ზოგიერთ შემთხვევაში, საჭიროა აქტივზე გაწეული საერთო დანახარჯების განაწილება მის შემადგენელ ნაწილებზე და მათი ცალ-ცალკე აღრიცხვა. ეს ხდება მაშინ, როდესაც აქტივის შემადგენელ ნაწილებს გააჩნია განსხვავებული სასარგებლო მომსახურების ვადა და მათთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის მიღება ხდება სხვადასხვა დროს. შესაბამისად, საჭიროა ცვეთის განსხვავებული ნორმებისა და მეთოდების გამოყენება.

3.5. ძირითადი საშუალების ობიექტი, რომელიც აკმაყოფილებს აქტივის აღიარების კრიტერიუმებს, თავდაპირველად უნდა შეფასდეს მისი თვითღირებულებით.

3.6. შეძენილი ძირითადი საშუალებების თვითღირებულება შედგება: მისი შესყიდვის ფასის, საიმპორტო ბაჟისა და სხვა, დაუბრუნებადი გადასახადების, ასევე აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად საჭირო სხვა პირდაპირი ხარჯებისაგან; შესყიდვის ფასი არ მოიცავს არანაირ სავაჭრო ფასდათმობასა და შეღავათს. შეძენილი აქტივის სხვა პირდაპირი ხარჯების მაგალითებია:

ა) აქტივისათვის ადგილმდებარეობის მომზადების ხარჯები;

ბ) აქტივის ადგილზე მიტანისა და დატვირთვა-გადმოტვირთვის ხარჯები;

გ) მონტაჟის ხარჯები;

დ) პროფესიული მომსახურების ხარჯები, როგორცაა არქიტექტორებისა და ინჟინრების შრომის ანაზღაურება;

ე) აქტივის დემონტაჟისა და ადგილმდებარეობის აღდგენის შესაძლო ხარჯები იმ ფარგლებში, რაც აქტივის შეძენისთანავე ანარცხის სახით აღიარდება.

3.7. ძირითადი საშუალებების ღირებულებას, როგორც წესი, არ მიეკუთვნება ადმინისტრაციული და სხვა საერთო ზედნადები ხარჯები. მათი მიკუთვნება დასაშვებია იმ შემთხვევაში, როდესაც შესაძლებელია ასეთი ხარჯების პირდაპირ დაკავშირება აქტივების შეძენასთან ან მათ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან.

3.8. ძირითადი საშუალებების რომელიმე ობიექტი შეიძლება მიღებულ იქნეს არამსგავს აქტივზე გაცვლის გზით. ასეთი აქტივების ღირებულება ფასდება მიღებული აქტივის რეალური ღირებულებით, რომელიც ეკვივალენტურია გაცემული აქტივის რეალური ღირებულებისა და შესწორებულია ნებისმიერი ფულადი სახსრების ან მისი ეკვივალენტის გადახდილი თანხით.

3.9. ძირითადი საშუალებების აქტივებად აღიარების შემდეგ გაწეული დანახარჯები წარმოადგენს აქტივების ექსპლუატაციასთან დაკავშირებულ დანახარჯს და ხარჯებად აღიარდება მათი გაწევისთანავე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი ექვემდებარება აქტივების საბალანსო ღირებულებაში ჩართვას.

3.10. აქტივების ექსპლუატაციასთან დაკავშირებული დანახარჯები მხოლოდ მაშინ დაემატება აქტივების საბალანსო ღირებულებას, თუ ამ დანახარჯების შედეგად გაიზრდება აქტივის მომსახურების ვადა.

3.12. ძირითადი საშუალებების ზოგიერთი ობიექტის მთავარი დეტალები შესაძლოა მოითხოვდეს პერიოდულ შეცვლას. ეს მიანიშნებს, რომ ამ დეტალის გამოყენებისა და აქტივის მომსახურების ვადა განსხვავებულია. ასეთ შემთხვევაში, თუ ობიექტის შემადგენელი ნაწილები აკმაყოფილებს ძირითადი საშუალების განმარტებას, აღირიცხება, ცალკეული აქტივების სახით. ამგვარად, აქტივების რომელიმე ნაწილის შეცვლის ან აღდგენის დანახარჯი აღირიცხება როგორც ცალკე აქტივის შეძენა, ხოლო შეცვლილი ნაწილი ჩამოიწერება.

3.13. ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსურ ანგარიშგებაში ინფორმაციის გამჟღავნების მიზნით, ძირითადი საშუალებები უნდა დაჯგუფდეს შინაარსისა და სამეურნეო დანიშნულების მსგავსების მიხედვით. ამ ჯგუფების მაგალითებია:

ა) მიწა;

ბ) შენობა-ნაგებობები;



გ) მანქანა-დანადგარები;

დ) სატრანსპორტო საშუალებები;

ე) ავეჯი და მოწყობილობა;

ვ) ოფისის აღჭურვილობა.

3.14. აქტივად პირველადი ასახვის შემდგომ, ძირითადი საშუალებების ესა თუ ის ობიექტი უნდა აისახოს მისი თავდაპირველი ღირებულებიდან დაგროვილი ცვეთის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

3.15. ძირითადი საშუალებების ცვეთის თანხა უნდა განაწილდეს სისტემატურ საფუძველზე, მათი მომსახურების ვადის განმავლობაში. ყოველი პერიოდის ცვეთის თანხა უნდა აისახოს ხარჯის სახით.

3.16. აუცილებელია აქტივში განივთებული ეკონომიკური სარგებლის ა(ა)იპ-ის მიერ აღრიცხვა. აქტივის გამოყენებით მიღებული სარგებლით აქტივის საბალანსო ღირებულების შემცირება გამოიხატება ცვეთის ხარჯის დარიცხვის გზით.

3.17. აქტივის მომსახურების ვადა განისაზღვრება ამ აქტივის მოსალოდნელი სარგებლიანობით. აქტივების მართვის პოლიტიკა შეიძლება გულისხმობდეს აქტივების გაყიდვას გარკვეული დროის ან აქტივით მიღებული ეკონომიკური სარგებლის გარკვეული ნაწილის მოხმარების შემდეგ. აქედან გამომდინარე, აქტივის მომსახურების ვადა შეიძლება მისი ეკონომიკური ვარგისიანობის ვადაზე ნაკლები აღმოჩნდეს. ძირითადი საშუალებების მომსახურების ვადის დადგენა დამოკიდებულია ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებაზე, რომელიც ეყრდნობა მსგავსი აქტივების გამოყენების გამოცდილებას ან ხელმძღვანელობის განზრახვას ამ აქტივის გამოყენების შესახებ.

3.18. აქტივის ცვეთადი ღირებულება განისაზღვრება მისი თვითღირებულებიდან ნარჩენი ღირებულების გამოკლებით. პრაქტიკაში აქტივის ნარჩენი ღირებულება ხშირად უმნიშვნელოა და, ამდენად, არაარსებითია ცვეთის თანხის გაანგარიშებაში. როცა მოსალოდნელია, რომ აქტივს ექნება მნიშვნელოვანი ნარჩენი ღირებულება, იგი გამოითვლება აქტივის შემენისთანავე და არ იცვლება ფასების ცვლილების შესაბამისად.

3.19. აქტივების მომსახურების ვადის განმავლობაში მათი ცვეთის თანხის სისტემატური განაწილებისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვადასხვა მეთოდი. სტანდარტით დაშვებულია ა(ა)იპ-მა გამოიყენოს: ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდი და ცვეთის შემცირებადი ნაშთის მეთოდი. წრფივი მეთოდი გულისხმობს ცვეთის ერთსა და იმავე თანხის დარიცხვას აქტივის მთელი მომსახურების ვადის მანძილზე. შემცირებადი ნაშთის მეთოდის გამოყენება იწვევს ცვეთის კლებადი თანხების დარიცხვას აქტივის მომსახურების ვადის განმავლობაში.

3.20. ყოველი ფინანსური წლის ბოლოს უნდა გადაისინჯოს ძირითადი საშუალებების გამოყენების ვადა და თუ მოსალოდნელი გამოყენების ვადა მნიშვნელოვნად განსხვავდება წინა შეფასებებისაგან, ცვეთის თანხები მიმდინარე და მომავალი საანგარიშგებო პერიოდებისათვის უნდა შეიცვალოს.

3.21. ძირითადი საშუალების ობიექტი უნდა ჩამოიწეროს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან მისი გაყიდვის შემთხვევაში ან როცა მწყობრიდან გავა და მისი გაყიდვით მოსალოდნელი აღარ იქნება ეკონომიკური სარგებლის მიღება.

3.22. აქტივის მწყობრიდან გასვლის ან გაყიდვის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა წმინდა ამონაგებ თანხასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და საქმიანობის შედეგების შესახებ ანგარიშგებაში აისახება როგორც შემოსავალი ან ხარჯი.

3.23. ძირითადი საშუალებები, რომლებიც აქტიურად არ გამოიყენება და განკუთვნილია გასაყიდად, აღირიცხება აქტიური მოხმარებიდან გასვლის თარიღის საბალანსო ღირებულებით.

3.24. ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში ძირითადი საშუალებების ყოველი ჯგუფისათვის უნდა გაიხსნას შემდეგი ინფორმაცია:

ა) ცვეთის დარიცხვის მეთოდები;

ბ) აქტივების მომსახურების ვადა ან გამოყენებული ცვეთის ნორმები;



გ) აქტივის საწყისი საბალანსო ღირებულება და დაგროვილი ცვეთა პერიოდის დასაწყისში და ბოლოს;

დ) პერიოდის საწყისი და საბოლოო საბალანსო ღირებულებების შესაბამისობა შესაძარის ინფორმაციის გარეშე, როდესაც ნაჩვენებია იქნება აქტივების:

I) შემოსვლა;

II) გადაცემა-გაყიდვა;

III) ცვეთა;

IV) სხვა ოპერაციები.

3.25. ა(ა)იპ-მა ფინანსურ ანგარიშგებაში ასევე უნდა გაამჟღავნოს საკუთრების უფლებაზე არსებული შეზღუდვები და ვალდებულებების უზრუნველსაყოფად დაგირავებული ძირითადი საშუალებების ღირებულება.

თავი 4. სახელმწიფო გრანტები

წინამდებარე თავი ადგენს ა(ა)იპ-ში სახელმწიფო გრანტების აღრიცხვის წესს. ამ თავში ასევე განხილულია სახელმწიფო გრანტებისა და სხვა სახის დახმარებების ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვისა და განმარტების პრინციპები. მოცემულ თავს არსებითი მნიშვნელობა აქვს ა(ა)იპ-ისათვის იმ თვალსაზრისით, რომ მან შეძლოს გრანტის სახით მიღებული რესურსების სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევა და შემოსავლის ისე აღიარება, რომ შენარჩუნებული იყოს ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის შესაძარისობა.

4.1. წინამდებარე თავი გამოიყენება სახელმწიფო გრანტების ბუღალტრულ აღრიცხვასა და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვისას, აგრეთვე სხვა სახის სახელმწიფო დახმარებების შესახებ ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში ინფორმაციის გამჟღავნებისთვის.

4.2. ა(ა)იპ-მა სახელმწიფო დახმარება შეიძლება მიიღოს მრავალი ფორმით, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდება ხასიათითა და პირობებით. დახმარება შეიძლება მიზნად ისახავდეს ისეთი საქმიანობის წახალისებას, რომლის ნორმალურად წარმართვას ა(ა)იპ ვერ შეძლებდა დახმარების გარეშე.

4.3. სახელმწიფო გრანტები პრაქტიკაში შეიძლება სხვა სახელითაც შეგვხვდეს, მაგალითად: სუბსიდია, დოტაცია ან სახელმწიფო პრემია. სტანდარტი სახელმწიფო გრანტად არ განიხილავს სახელმწიფოს მხრიდან ა(ა)იპ-ისათვის მინიჭებულ პრივილეგიას, შეღავათებს გადასახადებთან დაკავშირებით ან სხვა სახის დახმარებას, რომელთა ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა შეუძლებელია.

4.4. სახელმწიფო გრანტები, მათ შორის, არაფულადი გრანტები, უნდა აღიარდეს რეალური ღირებულებით, თუ იარსებებს დამაჯერებელი რწმენა, რომ:

ა) ა(ა)იპ შეასრულებს მასთან დაკავშირებულ პირობებს; და

ბ) გრანტი იქნება მიღებული.

4.5. სახელმწიფო გრანტის აღიარებისათვის აუცილებელია ორი მოთხოვნის ერთდროულად დაკმაყოფილება. კერძოდ, ა(ა)იპ დარწმუნებული უნდა იყოს, რომ დააკმაყოფილებს გრანტის პირობებს და გრანტს აუცილებლად მიიღებს. გრანტის მიღება თავისთავად არ ნიშნავს იმას, რომ პირი აკმაყოფილებს ან მომავალში დააკმაყოფილებს გრანტის პირობებს.

4.6. გრანტის ფორმა გავლენას არ ახდენს მისი სააღრიცხვო მეთოდის შერჩევაზე. ფულადი ფორმით და სახელმწიფო ვალდებულებების შემცირების სახით მიღებული გრანტი ერთნაირად აღირიცხება.

4.7. სახელმწიფო გრანტი შეიძლება მიღებულ იქნეს არაფულადი აქტივის სახით. მაგალითად, ძირითადი საშუალებები ან სხვა სახის რესურსები, რომელიც უნდა გამოიყენოს ა(ა)იპ-მა. ამ შემთხვევაში არაფულადი აქტივის შეფასება ხდება რეალური ღირებულებით. შესაბამისად, გრანტი/აქტივი აისახება რეალური ღირებულებით.

4.8. სახელმწიფო გრანტი თავდაპირველად უნდა აღიარდეს ა(ა)იპ-ის ფონდის სახით, მისი შეზღუდულობის ხარისხის გათვალისწინებით (შეუზღუდავი, დროებით შეზღუდული ან მუდმივად შეზღუდული). სახელმწი-



ყო გრანტი შემოსავლის სახით აღიარდება გრანტით დასაფარი ხარჯების პროპორციულად იმ პერიოდებში, როდესაც ხდება შესაბამისი დანახარჯების გაწევა.

4.9. მიზანშეწონილი არ არის სახელმწიფო გრანტების აღიარება შემოსავლების სახით მათი მიღებისთანავე (საკასო მეთოდით). გრანტის მიღებისთანავე მისი შემოსავლის სახით აღიარება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც გრანტით დასაფარავი დანახარჯები უკვე გაწეულია და არ არსებობს სხვა საანგარიშგებო პერიოდებზე გრანტის გადანაწილების საფუძველი.

4.10. სახელმწიფო გრანტთან დაკავშირებული შემოსავლების აღიარება უნდა მოხდეს გრანტით დასაფარავი დანახარჯების ან ხარჯების აღიარების პროპორციულად ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნეს გრანტით დასაფარავი ხარჯებისა და შემოსავლების შესაბამისობა. ანალოგიურად, ამორტიზებად აქტივებთან დაკავშირებული გრანტის აღიარება შემოსავლების სახით ხდება მოცემულ აქტივებზე ამორტიზაციის დარიცხვის პროპორციულად იმ საანგარიშგებო პერიოდებში, როდესაც გამოიყენება გრანტის სახით მიღებული ან გრანტით შეძენილი ამორტიზებადი აქტივები.

4.11. არამორტიზებად აქტივებთან დაკავშირებული გრანტები შეიძლება აგრეთვე გულისხმობდეს გარკვეული ვალდებულებების შესრულებას. ასეთი გრანტების აღიარება შემოსავლების სახით ხდება იმ საანგარიშგებო პერიოდებში, როდესაც გაწეული იქნება ამ ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებული დანახარჯები.

4.12. გაწეული ხარჯებისა და ზარალის კომპენსაციის სახით, ან ა(ა)იპ-ის გადაუდებელი ფინანსური დახმარების მიზნით მიღებული სახელმწიფო გრანტი, რომელსაც არ ექნება შესაბამისი სამომავლო ხარჯები, აღიარდება შემოსავლად, როდესაც იგი იქნა მიღებული.

4.13. სახელმწიფო გრანტი ა(ა)იპ-მა შეიძლება მიიღოს უშუალო გადაუდებელი ფინანსური დახმარების ან უკვე გაწეული სპეციფიკური დანახარჯების სტიმულირების მიზნით. მართებული იქნება ასეთი გრანტის შემოსავლად აღიარება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც იქნა მიღებული.

4.14. სახელმწიფო გრანტი ა(ა)იპ-მა შეიძლება მიიღოს წინა საანგარიშგებო პერიოდში გაწეული ხარჯების ან ზარალის კომპენსაციის სახით. ამგვარი გრანტის შემოსავლად აღიარება ხდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც იგი იქნა მიღებული.

4.15. აქტივებთან დაკავშირებული სახელმწიფო გრანტები, მათ შორის არაფულადი გრანტები რეალური ღირებულებით, აღიარდება და ბალანსში აისახება ა(ა)იპ-ის ფონდის სახით, მისი შეზღუდულობის ხარისხის გათვალისწინებით.

4.16. ა(ა)იპ-ის ფონდის სახით ასახული სახელმწიფო გრანტების შემოსავლად აღიარება ხდება სისტემატურ და რაციონალურ საფუძველზე დაყრდნობით, აქტივის გამოყენების მთელი ვადის განმავლობაში.

4.17. შემოსავლად აღიარებული გრანტები აისახება საქმიანობის შედეგების ანგარიშგებაში შემოსავლების შემადგენლობაში ან ცალკე მუხლის სახით, სახელწოდებით “გრანტის სახით მიღებული შემოსავლები”.

4.18. სახელმწიფო გრანტი, რომლის დაბრუნებაზე წარმოიშობა მოთხოვნა, განიხილება როგორც საადრიცხვო შეფასებების გადასინჯვა. შემოსავლებთან დაკავშირებული გრანტის დაბრუნება, პირველ რიგში, უნდა დაუპირისპირდეს ამ გრანტიდან წარმოშობილ ფონდს. თუ გრანტის დასაბრუნებელი თანხა აღემატება ასეთი ფონდის თანხას ან, როდესაც არ არსებობს შესაბამისი ფონდი, გრანტის დასაბრუნებელი თანხა დაუყოვნებლივ უნდა აღიარდეს ხარჯის სახით. თუ დასაბრუნებელია აქტივთან დაკავშირებული გრანტის თანხა, იგი აისახება შესაბამისი ფონდის ნაშთის შემცირებით, დასაბრუნებელი თანხის ოდენობით. დაგროვილი დამატებითი ცვეთის თანხა, რომელიც აღიარებული იქნებოდა დაბრუნებამდე, გრანტის არარსებობის პირობებში დაუყოვნებლივ უნდა აღიარდეს ხარჯის სახით.

4.19. თუ სახელმწიფო დახმარებას არ გააჩნია მკაფიოდ გამოხატული, დასაბუთებული ღირებულება და ჩვეულებრივი კომერციული გარიგებისაგან განსხვავებული თვისება, არ შეიძლება მიეკუთვნოს სახელმწიფო გრანტებს.

4.20. ნულოვანი და დაბალგანაკვეთიანი სესხებიც სახელმწიფო დახმარების ერთ-ერთი ფორმაა, მაგრამ აქ ეკონომიკური სარგებლის რაოდენობის შესაფასებლად არ გამოდგება საპროცენტო განაკვეთების სიდიდე და ასეთი დახმარება არ მიეკუთვნება სახელმწიფო გრანტს.

4.21. წინამდებარე სტანდარტის მიხედვით, სახელმწიფო დახმარება არ გულისხმობს სახელმწიფოს მიერ ინ-



ფრასტრუქტურის უზრუნველყოფას საერთო სატრანსპორტო და საკომუნიკაციო ქსელის გაუმჯობესების გზით, აგრეთვე საირიგაციო სისტემის სრულყოფის ღონისძიებებს, რაც სასარგებლოა ადგილობრივი მოსახლეობისათვის.

4.22. ა(ა)იპ-მა ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში უნდა გაამჟღავნოს:

ა) ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული სახელმწიფო გრანტების ხასიათი და სიდიდე, აგრეთვე სახელმწიფო დახმარების სხვა ფორმების აღწერა, საიდანაც ა(ა)იპ-მა მიიღო პირდაპირი სარგებელი; და

ბ) შეუსრულებელი პირობები და სხვა გაუთვალისწინებელი მოვლენები, რომლებიც დაკავშირებულია ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ რომელიმე ტიპის სახელმწიფო დახმარებასთან.

თავი 5. უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული შედეგები

ა(ა)იპ-ს, თავისი საქმიანობის განხორციელებისას, შესაძლებელია შეხება ჰქონდეს უცხოური ვალუტით განხორციელებულ ოპერაციებთან. მაგალითად: საერთაშორისო ა(ა)იპ-ებში გადასახდებელზე წარმოშობილი ვალდებულებები და მათი გადახდა; უცხოურ ვალუტაში მიღებული გრანტები და მათ გამოყენებასთან დაკავშირებული ოპერაციები და სხვ.

წინამდებარე თავი ადგენს, რომელი გასაცვლელი სავალუტო კურსი უნდა იქნეს გამოყენებული ფინანსურ ანგარიშგებაში და როგორ უნდა აისახოს გასაცვლელი სავალუტო კურსის ცვლილებებით გამოწვეული ფინანსური შედეგები.

5.1. წინამდებარე თავი გამოიყენება უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციების აღრიცხვისათვის.

5.2. ა(ა)იპ უცხოური ვალუტით წარმოებულ ოპერაციებს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახავს საანგარიშგებო ვალუტაში.

5.3. უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველად უნდა აისახოს საანგარიშგებო ვალუტით, ოპერაციის შესრულების დღისათვის საანგარიშგებო ვალუტასა და მოცემულ უცხოურ ვალუტას შორის დაფიქსირებული გასაცვლელი სავალუტო კურსის მიხედვით.

5.4. ოპერაციის შესრულების დღეს დაფიქსირებულ გასაცვლელ სავალუტო კურსს წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსი.

5.5. ყოველი საანგარიშგებო პერიოდი ბოლოს, უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი საბალანსო მუხლები წარდგენილ უნდა იქნეს საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით.

5.6. თუ ფულადი საბალანსო მუხლების განაღდება, ან ა(ა)იპ-ის მიერ საანგარიშგებო თარიღისათვის ფულადი მუხლების საბოლოო სავალუტო კურსის მიხედვით მომზადებისას, არსებული სავალუტო კურსი განსხვავდება თავდაპირველი ასახვისათვის გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, ან წინა საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური ანგარიშგების სავალუტო კურსისაგან, წარმოშობილი საკურსო სხვაობები უნდა აღიარდეს შემოსავლების ან ხარჯების სახით წარმოშობის შესაბამის საანგარიშგებო პერიოდში.

5.7. საკურსო სხვაობა წარმოიშობა მაშინ, როდესაც ოპერაციის შესრულების თარიღისა და უცხოური ვალუტით შეფასებული ნებისმიერი ფულადი საბალანსო მუხლების განაღდება თარიღისათვის დაფიქსირებული გასაცვლელი სავალუტო კურსები ერთმანეთისაგან განსხვავებული იქნება. თუ უცხოური ვალუტით შეფასებული ოპერაცია და შესაბამისი ანგარიშსწორება ხდება ერთ საანგარიშგებო პერიოდში, მაშინ ყველა საკურსო სხვაობა აღიარებული იქნება ამ საანგარიშგებო პერიოდში; მაგრამ, როდესაც ანგარიშსწორება ხორციელდება შემდგომ საანგარიშგებო პერიოდში, საკურსო სხვაობა აღიარდება ყოველ მომდევნო შუალედურ საანგარიშგებო პერიოდში ანგარიშსწორების პერიოდამდე.

5.8. ა(ა)იპ-მა ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში ინფორმაცია უნდა გაამჟღავნოს საანგარიშგებო პერიოდის მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში ასახული საკურსო სხვაობების ოდენობის შესახებ.

თავი 6. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

წინამდებარე თავი ადგენს სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯების ბუღალტრული აღრიცხვის წესს. ამ თავის ცალსახა მოთხოვნაა – სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯების დაუყოვნებლივ აღიარება ხარჯების სახით.



6.1. მოცემული თავი გამოიყენება სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯების ბუღალტრული აღრიცხვისათვის.

6.2. თავი ვრცელდება სესხით სარგებლობასთან დაკავშირებულ ისეთ დანახარჯებზე, როგორცაა:

ა) ბანკის ოვერდრაფტთან და სესხებთან დაკავშირებული საპროცენტო განაკვეთები;

ბ) სესხებთან დაკავშირებული დათმობებისა და პრემიების ამორტიზაცია;

გ) სესხის აღებასთან დაკავშირებული ორგანიზაციული დანახარჯები;

დ) ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული ფინანსური ხარჯები;

ე) უცხოურ ვალუტაში აღებულ სესხებთან დაკავშირებული საკურსო სხვაობის თანხა, თუ იგი განიხილება როგორც საპროცენტო დანახარჯების შესწორება.

6.3. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის ხარჯებად, როდესაც იქნა გაწეული.

6.4. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯი წარმოადგენს პერიოდის ხარჯს. მისი აღიარებისათვის არსებითი მნიშვნელობა არა აქვს ფაქტობრივად გადახდის მომენტსა და სესხის გამოყენების ეფექტურობას.

6.5. ა(ა)იპ-მა ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში უნდა გაამჟღავნოს სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯების მიმართ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა.

თავი 7. სააღრიცხვო პოლიტიკა და შეცდომები

წინამდებარე თავი გამოიყენება წინა პერიოდის შეცდომების შესწორებისა და სააღრიცხვო პოლიტიკაში მომხდარი ცვლილებების შედეგების აღრიცხვისა და ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენის მიზნით.

7.1. ეს თავი გამოიყენება წინა პერიოდის შეცდომების შესწორებისა და სააღრიცხვო პოლიტიკაში მომხდარი ცვლილებების შედეგების აღრიცხვისა და ანგარიშგებაში წარდგენისათვის.

7.2. წინა საანგარიშგებო პერიოდებთან დაკავშირებული შეცდომების შესწორების თანხა აისახება ა(ა)იპ-ის შეუზღუდავი ფონდის (არარსებობის შემთხვევაში დაგროვილი დეფიციტის) საწყისი ნაშთის კორექტირებით. საჭიროა შესადარისი ინფორმაციის შეცვლა, თუ ეს პრაქტიკულად შესაძლებელია.

7.3. გასულ პერიოდებში ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას დაშვებული შეცდომები შესაძლოა მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში გამოვლინდეს. შეცდომები შეიძლება წმინდა არითმეტიკული ხასიათისა იყოს. ასევე გამორიცხული არ არის გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის შედეგად, ფაქტების არასწორი ინტერპრეტაციითა და თაღლითობით ან დაუდევრობით გამოწვეული შეცდომების არსებობა.

7.4. ფინანსური ანგარიშგება, წინა საანგარიშგებო პერიოდების შესადარისი ინფორმაციის ჩათვლით, წარმოდგენილ უნდა იქნეს ისეთნაირად, თითქოს შეცდომა გასწორდა იმავე საანგარიშგებო პერიოდში, რომელშიც იყო დაშვებული. შესაბამისად, თითოეულ საანგარიშგებო პერიოდთან დაკავშირებული შესწორების თანხა უნდა ჩაირთოს ამავე პერიოდის წმინდა მოგების ან ზარალის თანხაში. იმ საანგარიშგებო პერიოდებთან დაკავშირებული შესწორების თანხა, რომლებიც წინ უსწრებს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ პერიოდს, უნდა შესწორდეს უფრო ადრეული საანგარიშგებო პერიოდების წმინდა შემოსავლების საწყის ნაშთში. ნებისმიერი წინა საანგარიშგებო პერიოდების სხვა ინფორმაცია, როგორცაა ფინანსური მონაცემების საწყისი ჯამები, აგრეთვე ხელახლა უნდა ფორმულირდეს.

7.5. ა(ა)იპ-მა ფინანსურ ანგარიშგებაში უნდა გაამჟღავნოს შეცდომების ფაქტი და ხასიათი.

7.6. გარკვეული განუსაზღვრელობისა და ცვალებადობის გამო, შეუძლებელია ფინანსური ანგარიშგების ბევრი მუხლის ზუსტი გაანგარიშება, შესაძლებელია მხოლოდ მათი მიახლოებითი შეფასება. შეფასების პროცესი გულისხმობს უახლეს ხელმისაწვდომ ინფორმაციაზე დაფუძნებულ მსჯელობას და სათანადო გადაწყვეტილების მიღებას. მაგალითად, შესაძლოა საჭირო გახდეს უიმედო ვალების, მოძველებული მარაგის, ცვეთადი აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადის ან შესაძლო ეკონომიკური სარგებლის მიღების სქემის შეფასება.



დასაბუთებული სააღრიცხვო შეფასების გამოყენება ფინანსური ანგარიშგების მომზადების ძირითადი მომენ-
ტია და არ ამცირებს მის სანდოობას.

7.7. თუ, გარკვეულწილად, შეიცვლება გარემოებები, რომელთა საფუძველზეც მოხდა შეფასება, ან თავს იჩენს ახალი ინფორმაცია, დამატებითი გამოცდილება ან სხვა მოვლენები, შესაძლოა საჭირო გახდეს შეფასების გა-
დასინჯვა. შეფასების გადასინჯვა არ განაპირობებს არსებითი შეცდომების კორექტირებას.

7.8. ხშირად ძნელია სააღრიცხვო პოლიტიკასა და სააღრიცხვო შეფასებებში მომხდარი ცვლილებების ერთმა-
ნეთისაგან გამიჯვნა. ასეთი ცვლილება განიხილება, როგორც ცვლილება სააღრიცხვო შეფასებაში და, შესაბა-
მისად, განიმარტება ფინანსურ ანგარიშგებაში.

7.9. სააღრიცხვო შეფასებაში მომხდარი ცვლილებების შედეგი საქმიანობის შედეგების გაანგარიშებაში აისახე-
ბა:

ა) იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც აღვილი ჰქონდა ცვლილებას, თუ ეს ცვლილება ზემოქმედებს მხო-
ლოდ აღნიშნულ საანგარიშგებო პერიოდზე; და

ბ) იმ საანგარიშგებო პერიოდში, რომელშიც მოხდა ცვლილება და შემდგომ პერიოდებში, თუ ეს ცვლილება
მომავალ პერიოდებზეც ახდენს ზემოქმედებას

7.10. ცვლილებამ სააღრიცხვო შეფასებებში შესაძლოა ზემოქმედება მოახდინოს მხოლოდ მიმდინარე პერი-
ოდზე ან როგორც მიმდინარე, ისე მომავალ საანგარიშგებო პერიოდებზე. კერძოდ, უიმედო ვალებში მომხდა-
რი ცვლილება ზემოქმედებას ახდენს მხოლოდ მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდზე და, ამდენად, იგი მოცე-
მულ პერიოდში აისახება. მაგრამ ცვეთადი აქტივების ეკონომიკური სარგებლის შესაძლო ხასიათის ან აქტი-
ვების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასებაში მომხდარი ცვლილებები ზემოქმედებას ახდენს მიმდინარე
პერიოდის ამორტიზაციის ხარჯებსა და აქტივების სასარგებლო მომსახურების დარჩენილი ვადის ყოველ
მომდევნო საანგარიშგებო პერიოდზე. ორივე შემთხვევაში, მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდთან
დაკავშირებული ცვლილების შედეგი აისახება როგორც მიმდინარე პერიოდის შემოსავლები ან ხარჯები. ხო-
ლო აღნიშნული ცვლილების შედეგები, რომლებიც გავლენას ახდენს მომავალ საანგარიშგებო პერიოდებზე,
შესაბამისად, აისახება მომავალი საანგარიშგებო პერიოდების შემოსავლების ან ხარჯების სახით.

7.11. სააღრიცხვო შეფასებებში მომხდარი ცვლილების შედეგი უნდა ჩაერთოს საქმიანობის შედეგების ანგა-
რიშგების ისეთივე კლასიფიკაციაში, რომელიც გამოყენებული იყო წინა შეფასებებისათვის.

7.12. ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში უნდა გამჟღავნდეს სააღრიცხვო შეფასებებში მომ-
ხდარი ისეთი ცვლილებების შინაარსი და მოცულობა, რომლებიც არსებით გავლენას ახდენს მიმდინარე პე-
რიოდზე ან მოსალოდნელია, რომ გავლენას მოახდენს მომავალ საანგარიშგებო პერიოდებზე. თუ ამ თანხის
დადგენა პრაქტიკულად შეუძლებელია, ეს ფაქტი უნდა აღინიშნოს.

7.13. ყოველ საანგარიშგებო პერიოდში გამოყენებულ უნდა იქნეს ერთი და იგივე სააღრიცხვო პოლიტიკა.

7.14. სააღრიცხვო პოლიტიკის შეცვლა შესაძლებელია, თუ:

ა. მოითხოვება წინამდებარე სტანდარტის ცვლილებებით; ან

ბ. ფინანსურ ანგარიშგებაში ინფორმაციას უფრო საიმედოდ და შესაფერისად ასახვას.

7.15. ფინანსურ ანგარიშგებაში მოვლენები და სამეურნეო ოპერაციები გაცილებით მისაღები ფორმით მაშინ
იქნება წარმოდგენილი, როდესაც ახალი სააღრიცხვო პოლიტიკის შედეგად უფრო საჭირო და საიმედო ინ-
ფორმაცია მიიღება ა(ა)იპ-ის ფინანსური მდგომარეობის, მისი საქმიანობის, ეფექტიანობისა და ფულადი ნაკა-
დების შესახებ.

7.16. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის მიღებასთან დაკავშირებით, სააღრიცხვო პოლი-
ტიკაში მომხდარი ცვლილება უნდა აისახოს გარდამავალი დებულებების მოთხოვნების შესაბამისად, თუ ასე-
თი დებულებები დაერთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო ახალ სტანდარტს. თუ სტანდარტი არ
შეიცავს დანერგვის წესებს, სააღრიცხვო პოლიტიკაში ცვლილება უნდა განხორციელდეს რეტროსპექტულად
ან პერსპექტიულად, ქვემოთ აღწერილი მეთოდის შესაბამისად.

7.17. ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის დანერგვამ შესაძლოა მოითხოვოს სააღრიცხვო პოლიტიკაში მომ-
ხდარი ცვლილების რეტროსპექტული ან პერსპექტიული ასახვა.



7.18. სააღრიცხვო პოლიტიკაში მომხდარი ცვლილება რეტროსპექტულად უნდა აისახოს მაშინ, თუ წინა საანგარიშგებო პერიოდებთან დაკავშირებული კორექტირების თანხა ექვემდებარება დასაბუთებულ განსაზღვრას. ნებისმიერი კორექტირება განიხილება როგორც დაგროვილი წმინდა შემოსავლის საწყისი ნაშთის შესწორება. უნდა შეიცვალოს შესადარისი ინფორმაცია, თუ ეს პრაქტიკულად შესაძლებელია.

7.19. სააღრიცხვო პოლიტიკაში მომხდარი ცვლილება პერსპექტიულად მაშინ აისახება, როდესაც რეტროსპექტიული ასახვის მიზნით დაგროვილი ფონდების საწყისი ნაშთის მაკორექტირებელი თანხა არ ექვემდებარება დასაბუთებულ განსაზღვრას.

7.20. სააღრიცხვო პოლიტიკაში მომხდარი ცვლილება შეიძლება აისახოს, როგორც რეტროსპექტულად, ისე პერსპექტიულად. რეტროსპექტიული მიდგომის დროს ახალი სააღრიცხვო პოლიტიკა ისე ვრცელდება მოვლენებსა და ოპერაციებზე, თითქოს ყოველთვის გამოიყენებოდა. ამდენად, ახალი სააღრიცხვო პოლიტიკა გამოიყენება მოვლენებისა და ოპერაციების მიმართ, ასეთი მუხლების წარმოშობის თარიღიდან. პერსპექტიული გამოიყენება გულისხმობს, რომ ახალი სააღრიცხვო პოლიტიკა გამოიყენება იმ მოვლენებისა და ოპერაციების მიმართ, რომლებიც თავს იჩენს სააღრიცხვო პოლიტიკაში მომხდარი ცვლილებების შემდეგ. ამგვარად, ახალი სააღრიცხვო პოლიტიკა არსებული ნაშთების მიმართ გამოიყენება ცვლილებების თარიღიდან.

7.21. ა(ა)იპ-მა ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში უნდა გაამჟღავნოს შემდეგი ინფორმაცია:

ა) ფინანსური ანგარიშგების შესადგენად გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა;

ბ) სააღრიცხვო პოლიტიკაში მომხდარი ცვლილებებისა და არსებითი შეცდომების კორექტირების შედეგები.

7.22. ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ უნდა შეიცავდეს:

ა) ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებულ შეფასების სისტემას; და

ბ) თითოეულ სპეციფიკურ სააღრიცხვო პოლიტიკას, რომელიც აუცილებელია ფინანსური ანგარიშგების სწორად გაგებისათვის.

7.23. განმარტებით შენიშვნებში აუცილებელია იმ სააღრიცხვო პოლიტიკის გამჟღავნება, რომელიც მოცემულ სტანდარტში არაა განხილული, მაგრამ შერჩეული და გამოყენებული იქნება ა(ა)იპ-ის მიერ.

თავი 8. შემოსავლები

წინამდებარე თავი განსაზღვრავს ა(ა)იპ-ის დამფუძნებლების, წევრებისა და მხარდამჭერებისაგან მიღებული შემოსავლების აღრიცხვისა და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვის წესს.

8.1. ეს თავი გამოიყენება ა(ა)იპ-ში გაწევრიანებისა და საწევრო შენატანების, ასევე ა(ა)იპ-ის დაფუძნებისა და მისი საქმიანობის მხარდაჭერის მიზნით დამფუძნებლებისა და სპონსორების მხრიდან განხორციელებული შენატანებისა და შემოწირულობების აღრიცხვისა და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვისათვის.

8.2. გაწევრიანების ერთჯერადი შენატანი შემოსავლად აღიარდება პრეტენდენტის წევრად მიღებისთანავე.

8.3. ა(ა)იპ-ის წევრის ვალდებულებას საწევრო შენატანზე განსაზღვრავს მისი წესდება ან სხვა შიდა მარეგლამენტირებული დოკუმენტი. შესაძლებელია ა(ა)იპ-ს დაწესებული ჰქონდეს ერთჯერადი შენატანი გაწევრიანებასთან დაკავშირებით, რომელიც გამიზნულია წევრობის პრეტენდენტის დოკუმენტების მომზადებისა და განხილვის, წევრობის დამადასტურებელი დოკუმენტის მომზადებისა და სხვა (მაგალითად, სამკერდე ნიშნის ან სხვა ატრიბუტის დამზადების) ხარჯების დასაფარავად.

8.4. ა(ა)იპ-ში წევრობაზე განცხადება წარმოშობს განმცხადებლის ვალდებულებას, შეიტანოს გაწევრიანების ერთჯერადი შესატანი. განმცხადებელმა შესაძლებელია ეს მოვალეობა შეასრულოს მის წევრად აღიარებამდე, მაგრამ ვიდრე ის არ გახდება ა(ა)იპ-ის წევრი, დადგენილი წესების გათვალისწინებით, მის მიერ შეტანილი თანხა განხილულ უნდა იქნეს მიღებული ავანსის სახით. იგი შემოსავლად აღიარდება წევრად მიღების შესახებ უფლებამოსილი ორგანოს (მაგალითად, საწევრო კომიტეტი) მიერ გადაწყვეტილების მიღებისთანავე.

8.5. პერიოდული საწევრო შენატანები შემოსავლად უნდა აღიარდეს გადახდის ვალდებულების წარმოშობისთანავე.



- 8.6. ა(ა)იპ-მა, საწევრო შენატანის ოდენობასთან ერთად, უნდა დაადგინოს მათი გადახდის ვალდებულების წარმოშობის თარიღი. იგი ხელმძღვანელობის მიერ შეიძლება დადგენილი იყოს სხვადასხვანაირად. საფუძვლად შეიძლება აღებული იყოს თვის, კვარტალის, ნახევარი წლის ან საანგარიშგებო წლის დასაწყისი ან ბოლო.
- 8.7. ა(ა)იპ-ის წევრის მიერ შესრულებული ვალდებულება, საწევროს გადახდის ვალდებულების წარმოშობამდე, აღირიცხება მიღებული ავანსის სახით.
- 8.8. განსაკუთრებული საწევრო შენატანი თავდაპირველად უნდა აღირიცხოს წინასწარ შესრულებული საწევრო ვალდებულების სახით.
- 8.9. განსაკუთრებული საწევრო შენატანი შემოსავლად აღიარდება მათი ამორტიზაციის შესაბამისად. წინასწარ შესრულებული საწევრო ვალდებულება ექვემდებარება წრფივ ამორტიზაციას 10 წლის განმავლობაში.
- 8.10. ა(ა)იპ-ს შეიძლება დაწესებული ჰქონდეს საწევრო შენატანის ისეთი განსაკუთრებული სახე, რომელიც ა(ა)იპ-ის წევრს ათავისუფლებს საწევრო შენატანების შემდგომი ვალდებულებისაგან და ანიჭებს მუდმივი წევრობის უფლებამოსილებას. ასეთი საწევრო შენატანი გაცილებით აღემატება მისი პერიოდული შენატანების ოდენობას.
- 8.11. თუ წევრი ამორტიზაციის ვადის გასვლამდე უარს განაცხადებს წევრობაზე, ან კავშირს გაწყვეტს ა(ა)იპ-თან მისგან დამოუკიდებელი მიზეზით (ფიზიკური პირის გარდაცვალება, იურიდიული პირის გაკოტრება, ლიკვიდაცია და სხვ.), განსაკუთრებული საწევრო შენატანის არაამორტიზებული ნაწილი შემოსავლად აღიარდება ფაქტის დადგომისთანავე.
- 8.12. შემოწირულობის სახით მიღებული ფულადი აქტივი შემოსავლად უნდა აღიარდეს მისი მიღებისთანავე.
- 8.13. შემოწირულობის სახით მიღებული არაფულადი აქტივები მათ განკარგვაზე უფლების მიღებისთანავე უნდა აღირიცხოს ფონდის სახით. არაფულადი შემოწირულობები თავდაპირველად უნდა შეფასდეს მათი რეალური ღირებულებით.
- 8.14. შემოწირულობის სახით მიღებული არაფულადი აქტივები შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ერთჯერადად ან ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში (მაგალითად, ძირითადი საშუალებები). არაფულადი მიმდინარე აქტივების ღირებულება ზრდის ა(ა)იპ-ის ფონდებს.
- 8.15. დამფუძნებლების მიერ ფონდების შესავსებად დათქმული შენატანები აღიარდება ა(ა)იპ-ის რეგისტრაციაში გატარებისა და ფონდების გაზრდაზე გადაწყვეტილების მიღებისთანავე.
- 8.16. ფონდების შესავსებად დათქმული შენატანები კლასიფიცირდება ფონდების შეზღუდულობის გათვალისწინებით და აისახება უშუალოდ ფონდების ანგარიშზე.
- 8.17. ა(ა)იპ-ის დამფუძნებლების მიერ დათქმული შენატანი ფონდებში უნდა აღიარდეს ა(ა)იპ-ის რეგისტრაციაში გატარებისთანავე.
- 8.18. თუ ა(ა)იპ-ის ფუნქციონირების პერიოდში დამფუძნებლები გადაწყვეტენ მიზნების მისაღწევად დაფინანსების წყაროების გაზრდას და ივალდებულებენ დამატებითი შენატანების განხორციელებას, იგი შემოსავლად უნდა აღიარდეს გადაწყვეტილების მიღებისთანავე.
- 8.19. ფონდების ფაქტობრივ შევსებამდე ფონდებში აღიარებული დათქმული შენატანები წარმოადგენს მოთხოვნებს დამფუძნებლების მიმართ.
- 8.20. ა(ა)იპ-მა ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია:
- ა) ახალი წევრების მიღებასთან დაკავშირებული შემოსავლების შესახებ;
 - ბ) საწევრო შენატანების სახით მიღებული შემოსავლების შესახებ;
 - გ) შემომწირველებისაგან მიღებული ფონდებისა და შემოსავლების შესახებ.



ფინანსური ანგარიშგების კომპონენტების ნიმუშები

წინამდებარე დანართი განკუთვნილია თვალსაჩინოებისათვის და არ წარმოადგენს სტანდარტის განუყოფელ ნაწილს. დანართში მოტანილი ფინანსური ანგარიშგების კომპონენტების მუხლები და მათი თანმიმდევრობა შეიძლება შეიცვალოს ცალკეული ა(ა)იპ-ის თავისებურების გათვალისწინებით. დანართის მიზანია გვიჩვენოს სტანდარტის გამოყენება და ხელი შეუწყოს მის უკეთ გაგებას.

ა(ა)იპ

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 20X2 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	20X2	20X1
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები	XX	XX
ძირითადი საშუალებები	X	X
ინვესტიციები	X	X
სხვა გრძელვადიანი აქტივები	X	X
მიმდინარე აქტივები	XX	XX
მარაგები	X	X
დებიტორები	X	X
ავანსები	X	X
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	X	X
სულ აქტივები	XX	XX
ფონდები და ვალდებულებები		
ფონდები	XX	XX
შეუზღუდავი ფონდი	X	X



დროებით შეზღუდული ფონდი	X	X
მუდმივად შეზღუდული ფონდი	X	X
გრძელვადიანი ვალდებულებები	XX	XX
გრძელვადიანი სესხები	X	X
საპენსიო ანარიცხები	X	X
მოკლევადიანი ვალდებულებები	XX	XX
კრედიტორები	X	X
მოკლევადიანი სესხები	X	X
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი	X	X
სულ ფონდები და ვალდებულებები	XX	XX

საქმიანობის შედეგების ანგარიშგება 20X2 წლის 31 დეკემბერს დამთავრებული წლისათვის

I. შეუზღუდავი ფონდების ნაწილში	20X2	20X1
შემოსავლები		
საწევრო შენატანები	X	X
საპროცენტო შემოსავლები	X	X
დივიდენდები	X	X
გრანტი	X	X
შემოწირულობები	X	X
სხვა შემოსავლები	X	X
სულ შემოსავლები	XX	XX



ხარჯები		
I პროექტის ხარჯი	X	X
II პროექტის ხარჯი	X	X
III პროექტის ხარჯი	X	X
პროექტების მხარდაჭერის ხარჯი	X	X
ადმინისტრაციული და სხვა ხარჯი	X	X
სულ ხარჯები	XX	XX
მთლიანი შედეგი (შემოსავლის ნამეტი/ დეფიციტი)	XX	XX
	X	X
	(X)	(X)
წმინდა შედეგი (ფონდის ზრდა/შემცირება)	X	X
II. დროებით შეზღუდული ფონდების ნაწილში		
შემოსავლები		
შემოსავალი ინვესტიციიდან	X	X
შეზღუდვისაგან გათავისუფლებული ფონდი	X	X
სხვა შემოსავალი	X	X
სულ შემოსავალი	XX	XX
ხარჯები		



ხარჯები		
I პროექტის ხარჯი	X	X
II პროექტის ხარჯი	X	X
III პროექტის ხარჯი	X	X
სულ ხარჯები	XX	XX
წმინდა შედეგი (ფონდის ზრდა/შემცირება)	XX	XX
III. მუდმივად შეზღუდული ფონდების ნაწილში		
შემოსავლები		
შემოსავალი ინვესტიციიდან	X	X
შეზღუდვისაგან განთავისუფლებული ფონდი	X	X
სხვა შემოსავალი	X	X
სულ შემოსავალი	XX	XX
ხარჯები		
I პროექტის ხარჯი	X	X
II პროექტის ხარჯი	X	X
III პროექტის ხარჯი	X	X
სულ ხარჯები	XX	XX
წმინდა შედეგი (ფონდის ზრდა/შემცირება)	XX	XX

ხარჯების ეკონომიკური შინაარსი 20X2 წლის 31 დეკემბერს დამთავრებული წლისათვის

ხარჯების ელემენტები	I პროექტის ხარჯი	II პროექტის ხარჯი	III პროექტის ხარჯი	პროექტების მხარდაჭერის ხარჯი	ადმინისტრაციული და სხვა ხარჯი	სულ
პერსონალის ხელფასი	X	X	X	X	X	XX
	X	X	X	X	X	XX



	X	X	X	X	X	XX
ტრანსპორტის ხარჯი			X		X	XX
საკანცელარიო ნივთები	X			X	X	XX
სხვა მარაგები					X	XX
აქტივის ცვეთა				X	X	XX
იჯარა		X	X	X	X	XX
ელექტროენერგია		X	X	X	X	XX
სხვა კომუნალური ხარჯი	X	X	X	X	X	XX
კავშირგაბმულობა	X	X	X	X	X	XX
კონსულტაცია და აუდიტი				X	X	XX
მივლინება	X		X	X	X	XX
შეხვედრები და პრეზენტაცია	X	X	X	X	X	XX
განცხადება და რეკლამა	X	X	X	X	X	XX
დანარჩენი ხარჯები	X	X	X	X	X	XX
ხარჯების ჯამი	XX	XX	XX	XX	XX	XX

ფონდებში ცვლილების ანგარიშგება 20X2 წლის 31 დეკემბერს დამთავრებული წლისათვის

	შეუზღუდავი ფონდები	დროებით შეზღუდული ფონდები	მუდმივად შეზღუდული ფონდები	სულ
20X0 წლის 31 დეკემბრის ნაშთი	X	X	X	XX
გრანტი და შემოწირულობები	X	X	X	XX
ფონდის რეკლასიფიცირება		X	X	XX
ხარჯების დაფინანსება	X	X		XX
ფონდის ზრდა (შემცირება)			X	XX
20X1 წლის 31 დეკემბრის ნაშთი	X	X	X	XX



გრანტი და შემოწირულობები	X	X	X	XX
ფონდის რეკლასიფიცირება		X	X	XX
ხარჯების დაფინანსება	X	X		XX
ფონდის ზრდა (შემცირება)			X	XX
20X2 წლის 31 დეკემბრის ნაშთი	X	X	X	XX

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 20X2 წლის 31 დეკემბერს დამთავრებული წლისათვის

	20X2	
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
საწევროს სახით მიღებული ფულადი სახსრები	X	
შემოწირულობის სახით მიღებული ფულადი სახსრები	X	
გრანტის სახით მიღებული ფულადი სახსრები	X	
მომწოდებლებსა და თანამშრომლებზე გაცემული ფული	X	
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული თანხები	X	
გადახდილი პროცენტები	X	
გადახდილი გადასახადები	X	
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	XX	
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	X	
ძირითადი საშუალებების გაყიდვით მიღებული ნამეტო	X	
მიღებული პროცენტები	X	
მიღებული დივიდენდები	X	



წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	XX	
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
თამასუქის გაცემით მიღებული ფულადი სახსრები	X	
სესხის დასაფარავად გადახდილი ფულადი სახსრები	X	
ფინანსური იჯარის ვალდებულების დასაფარავად გადახდილი ფულადი სახსრები	X	
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	XX	
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა	XX	
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის	X	
ფულადი სახსრების სავალუტო კურსის ცვლილების ეფექტი	X	
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის	XX	

